საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ცყუილებით და ჭორებით ბურ-თის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 7 მაისი. 2020 წ. №61 (8987) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ილია მეორე: თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს სასჯელია თუ გაფრთხილება? ეს არის გაფრთხილება, ესაა მოქცევა და ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ უფალი განიცდის ჩვენთან ერთად. ჯვარი გეწეროთ, ღმერთმა ძალა მოგცეთ, ღმერთმა ინებოს, რომ მწუხარება ჩვენი სიხარულად გადაიქცეს.

ამერიკა-ჩინეთის ღია დაპირისპირება

5

შეკითხვები, რომლებზეც აშშ-მა პასუხი უნდა გასცეს!

4

მარინა ენდელაძე: კორონავირუსი ყველას არ კლავს, ადამიანთა უმრავლესობა იკურნება...

წმინდა გიორგის დღესასწაული იმედის დღესასწაულია



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მრევლს გიორგობის დღესასწაული სამების საკათედრო ტაძრიდან მიულოცა.

„ეს დღესასწაული მუდამ იყო დიდი ეროვნული დღესასწაული საქართველოსა. ის საზეიმოდ აღინიშნებოდა ჩვენს ოჯახში იმიტომ, რომ მამაჩემს ერქვა გიორგი. ამ დღეს მას ეკლესიიდან გამოჰყავდა მათხოვრები და პირველი მაგიდა მათთვის იშლებოდა. ჩვენ ვსხდებოდით მათთან ერთად და აღვნიშნავდით გიორგობას. დიდი ზეიმი იყო, დიდი იმედი იყო. წმინდა გიორგის დღესასწაული იმედის დღესასწაულია. წმინდა გიორგიმ, როცა აწამებდნენ, წარმოთქვა სიტყვა: ღმერთო ჩემო, რასათვის დამიტევე მე. მას ხმა მოესმა, — ნუ გეშინია გიორგი, მე შენთან ვარო. ეს მაცხოვრის სიტყვები იყო. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ გაჭირვების დროს, როცა მთელ მსოფლიოს უჭირს, ჩვენ გვესმის ხმა მაცხოვრისა — ნუ გეშინიათ, მე თქვენთან ვარ. მსოფლიო განიცდის იმას, რაც ხდება. მე მატყობინებენ, რომ ზოგიერთ ქვეყანაში დაკეტილია ტაძრები და მონასტრები და ხალხი იძულებულია, წავიდეს სოფლებში და იქ დაესწროს წირვას. ჩვენ აქ თავისუფლად ვართ. დიდება და მადლობა უფალს მისი დიდი წყალობისათვის. ნუ დაგავიწყდებათ, სახლში უნდა გქონდეთ ნაკურთხი წყალი, სეფისკვერი და საკმეველი. ყოველდღე უნდა დააკმიოთ, ყოველდღე უნდა ასხუროთ თქვენს სახლსა და კარ-მიდამოს. ეს დიდ ძალას მოგცემთ“, — მიმართა პატრიარქმა მრევლს.

დიდი ამერიკისგან მცირედიც შეიწირება!..

ინტერვიუ USAID-ის ევროპისა და ევრაზიის ბიუროს ადმინისტრატორის თანაშემწე ბროკ ბიერმანთან

3

ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საქართველოს სწრაფად ფეხზე დადგომაში დავეხმაროთ

პატარა ბავშვებისთვის პირბადის ტარება რეკომენდებული არ არის

12

სემეკის ახალი პროექტი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკი) ახალი მომსახურება დანერგა. მობილურ ტელეფონებზე კოდის *303# **აკრეფით მოქალაქეებს შეუძლიათ, კომუნალური მომსახურების კომპანიებს მიაწოდონ ინფორმაცია ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის ან სასმელი წყლის მომარაგების წყვეტის შესახებ, გამოითხოვონ ელექტრონული ქვითარი, შეამოწმონ მიმდინარე სააბონენტო ბალანსი, მონაცემების მისაღებად სასურველ აბონენტზე დაარეგისტრირონ ან წაშალონ არასასურველი ნომერი.**

*303# კოდით მომსახურება უფასოა და ვრცელდება მთელი საქართველოს მასშტაბით, ხელმისაწვდომია ყველა ტიპის მობილური ტელეფონისთვის, არ საჭიროებს სპეციალური პროგრამის ჩამოტვირთვასა და ინტერნეტთან წვდომას.

მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ კომუნალური მომსახურების კომპანიების — სს „თელასის“, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“, შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“, სს „საქორგგაზის“, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“, შპს „მცხეთის წყალის“, შპს „რუსთავის წყალის“ და სს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ აბონენტებს.

*303# მომსახურების პროგრამის ფუნქციონალი შექმნილია საკომუნიკაციო კომპანია „მაგთიკომის“ მიერ. მომსახურება ამჟამად ხელმისაწვდომია „სილქნეტისა“ და „მაგთიკომის“ მომხმარებლებისთვის. უახლოეს მომავალში პროგრამით ისარგებლებენ „ბილაინის“ მომხმარებლებიც.

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 11 მაისს

კორონავირუსმა პარლამენტარები გააააქტიურა

„საგანგებო მდგომარეობის დროს საპარლამენტო საქმიანობა უფრო აქტიურია. ვერ ნახავთ მიმართულებას, სადაც პარლამენტის წევრები გაცილებით აქტიურად არ არიან ჩართულები სხვადასხვა საქმიანობაში, ვიდრე სხვა დროს, მაგრამ ეს არ არის ისეთი საქმიანობა, როგორსაც ადგილი აქვს ჩვეულებრივ სიტუაციაში“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ.

მისივე თქმით, საგანგებო მდგომარეობის დროს პარლამენტის საქმიანობის სამი მთავარი მიმართულებაა — კრიზისის მართვა, ჯანდაცვის მენეჯმენტი და ეკონომიკა.

„სწორედ ეს მიმართულებებია ყველაზე პრიორიტეტული და მთავარი გამოწვევა ჩვენი ქვეყნისთვის. კრიზისის მართვაში ჩართულები ვართ პარლამენტის ხელმძღვანელობა და პარლამენტის წევრები და იცით, რომ აქტიურ მონაწილეობას ვიღებთ არათუ კონტროლში, არამედ გადაწყვეტილების მიღებაში ვიღებთ უშუალო მონაწილეობას.

მეორე პრიორიტეტული მიმართულებაა ჯანდაცვის მენეჯმენტი და დიმიტრი ხუნდაძე, რომელიც პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარეა, არათუ გადაწყვეტილების მიღებაშია ჩართული, არამედ კონტროლში იმ დონეზე, რომ ადგილობრივი კლინიკების შემოწმებასაც კი ახორციელებს მისი კომიტეტი მთელი თავისი შემადგენლობით. ისინი რაიონებში ჩადიან და იქ ამოწმებენ როგორ სრულდება სამედიცინო პერსონალის მიერ შესაბამისი რეკომენდაციები მენეჯმენტთან დაკავშირებით. ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური მიმართულებაც და აქაც შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ პარლამენტის 8 წევრი, შესაბამისი დარგობრივი კომიტეტების ჩათვლით, ჩართულები არიან ასევე, არა მხოლოდ კონტროლში, არამედ გადაწყვეტილების მიღებაში.

ამას უნდა დავამატოთ მაჟორიტარების უპრეცედენტო აქტიურობა, რომლებიც რეგიონალური შტატების მუშაობაში არიან ჩართულები. ასევე მიდის მუშაობა ეუთო/ოდირის რეკომენდაციებზე, სადაც ოპოზიციის წარმომადგენელებიც არიან ჩართულები“, — აღნიშნა მამუკა მდინარაძემ.

შესაძლოა, საგანგებო მდგომარეობა მცირე ხნით გაგრძელდეს...

„თუ ეპიდემიოლოგიური სიტუაცია ისეთი იქნება, რომელიც მარტივად მოგვცემს საშუალებას, აბსოლუტურად ყველა შეზღუდვა მოვხსნათ, მაშინ, ბუნებრივია, საგანგებო მდგომარეობის დატოვება არავის თვითმიზანი არ არის და ის დამთავრდება დაანონსებულ ვადაში. მაგრამ, თუ ჩვენ დაგვჭირდება, ისევ და ისევ ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან და სპეციალისტების რჩევებიდან გამომდინარე, საგანგებო მდგომარეობა მცირე ხნით გაგრძელდეს, ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, ამ გზას მივმართავთ და ეს იქნება მორიგი იძულებით სვლა, მაგრამ მოლოდინი, რომ ამის აუცილებლობა იქნება, არ მაქვს“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ. მისივე თქმით, სადაც შესაძლებელი იყო, ხელისუფლებამ გარკვეული შეზღუდვები ვადაზე ადრე მოხსნა.

შეზღუდვების მნიშვნელოვანი შემსუბუქება. შესაბამისად, მე მგონია, რომ ეს ტემპი შენარჩუნდება. გამოცხადებული იყო ეკონომიკის გახსნის ფაზები, თუმცა ეს ფაზები დაჩქარდება. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ბოლო დღეების მაჩვენებლები, როდესაც გავრცელების ტემპი მნიშვნელოვნად დაეცა. ეს გვაძლევს იმის იმედს, რომ ეკონომიკის გახსნა უფრო დამაჯერებლად გავაგრძელოთ. არსებობს ყველა წინაპირობა, რომ მაისის ბოლომდე ყველა ძირითადი და მნიშვნელოვანი სფერო გაიხსნას. ცოტა უფრო რთული საკითხი იქნება საზღვრების გახსნა და ამა თუ იმ ქვეყნიდან ტურისტების მიღება. ეს ალბათ ორმხრივი მოლაპარაკებების საგანი იქნება. თუ ორი ქვეყანა კარგად გაუმკლავდა ეპიდემიას, ისინი თავისუფლად შეძლებენ ერთმანეთისგან მოქალაქეების მიღებას. შიდა ეკონომიკური აქტივობები იმაზე სწრაფად აღდგება, ვიდრე რამდენიმე კვირის წინ წარმოგვედგინა“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა.

ეკონომიკური აქტივობები იმაზე სწრაფად აღდგება, ვიდრე რამდენიმე კვირის წინათ წარმოგვედგინა

„ბოლო კვირების განმავლობაში ჩვენ ისეთი დინამიკა გვაქვს, რომელიც გვაძლევს საშუალებას, დავიწყოთ

გვაქვს უმაღლესი სტანდარტის ახალი უნიფორმა

ქართველ **სამხედროებს ნატოს წამყვანი ქვეყნების სტანდარტის უმაღლესი ხარისხის ახალი უნიფორმა და ფეხსაცმელი აქვთ,** — ამის შესახებ ინფორმაციას და ვიდეომასალას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ავრცელებს. მისივე ცნობით, თავდაცვის ძალების 29-წლიანი ისტორიის განმავლობაში ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც სამხედროები „ლოვასა“ და „ჰაიქსის“ მიერ დამზადებული ზამთრისა და ზაფხულის სამხედრო ფეხსაცმელით არიან უზრუნველყოფილი.

მისივე ცნობით, ახალი ფეხსაცმელი წარმოებულია მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური სისტემების მქონე საწარმოში, რომელიც ასევე ამარაგებს გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ნიდერლანდების, შვეიცარიის, პოლონეთის, თურქეთის,ბელგიის, ირლანდიის, დანიისა და სამხრეთ კორეის შეიარაღებულ ძალებს.

„მაღალი ხარისხის ქსოვილისგან დამზადებული, ცვეთაგამძლე უნიფორმა თავდაცვის ძალებში კიდევ ერთი სიახლეა. საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები სრულად არის უზრუნველყოფილი განახლებული და მაღალი ხარისხის, ნატოს წევრი ქვეყნებისა და აშშ-ის ჯარის უნიფორმის ქსოვილის შესაბამისი სტანდარტის, კომუფლირებული უნიფორმით — პიჯაკი, შარვალი, კეპი“, — აცხადებს ირაკლი ღარიბაშვილი.

ცხინვალის რეგიონში რუსეთიდან 300-მდე კურსანტის დაბრუნებამ მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია

ცხინვალის **რეგიონში რუსეთიდან უმაღლესი სამხედრო სასწავლებლების 300-მდე კურსანტი ბრუნდება. ახალი ტიპის კორონავირუსის გავრცელების მხრივ რუსეთში არსებული მძიმე ვითარების გათვალისწინებით, ცნობამ ამ ქვეყნიდან კურსანტების დაბრუნების შესახებ ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობაში შეშფოთება გამოიწვია: ხალხი შიშობს, რომ რუსეთიდან ამ რაოდენობის ადამიანების დაბრუნება დანარჩენ მცხოვრებლებსაც საფრთხის წინაშე დააყენებს, მით უფრო, რომ არაოფიციალური ინფორმაციით, კურსანტებს შორის ინფიცირებულებიც არიან.**

დე ფაქტო თავდაცვის სამინისტრომ მოსახლეობაში პანიკის აღმოფხვრა იჩქარა და გაავრცელა პრესრელიზი, რომელშიც ნათქვამია, რომ ყველა, ვინც მკურნალობას საჭიროებს, სამედიცინო დაწესებულებებში დარჩება, დანარჩენები კი ორკვირიან მკაცრ სავალდებულო კარანტინში მოთავსდებიან.

ოკუპირებული რეგიონის მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა მარინა კოჩიევამ ოპერატიული შტაბის თათბირზე გააკეთა მოხსენება იმის შესახებ, როგორ ემზადებიან ახალგაზრდების მისაღებად: **„ჩვენთან ჩამოდიან კურსანტები და მათთვის ვამზადებთ ადგილებს რესპუბლიკის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. ჩავატარეთ ინსპექტირება ძაუსის (ოსური სახელწოდება) საავადმყოფოშიც: პირობები იქ ნორმალურია, მომზადდა ოთახები თავისი სანკვანძებით, არის ცხელი წყალი“.**

კოჩიევამ ასევე აღნიშნა, რომ „სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების მორიგ ჯგუფს, რომელიც რესპუბლიკაში 10 დღის წინ დაბრუნდა, კორონავირუსზე ტესტირება ჩაუტარდა და ყველა შემთხვევაში უარყოფითი შედეგი იქნა მიღებული, სულ კი ამ დრომდე 183 ტესტია ჩატარებული და შედეგები ყველაგნ უარყოფითი იყო, ასე, რომ ამ ვირუსით ინფიცირების არც ერთი შემთხვევა სამხრეთ ოსეთში აღრიცხული ამ დრომდე კვლავინდებურად არ არის“.

დე ფაქტო პრემიერმა ერიკ ფუხაევმა შესაბამის უწყებებს საკარანტინე რეჟიმის დაცულობის მკაცრი კონტროლი დაავალა. დე ფაქტო შს მინისტრმა იგორ ნანიევმა კი მოახსენა შეკრებილთ, რომ რუსეთის შსს-ს უმაღლესი სასწავლებლების დანარჩენი კურსანტები სწავლების ადგილებში რჩებიან, რადგან **„ვითარება უმაღლეს სასწავლებლებში შეშფოთებას ჯერჯერობით არ იწვევს“. „...ისინი თვითიზოლაციის რეჟიმში არიან, სწავლება დისტანციურად წარმოებს“,** — დასძინა მან.

„დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ განცხადებით, სოფელ ერგნეთში მოსახლეობა უმძიმესი სოციალური პრობლემების წინაშეა.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის პარალელურად აღმოჩნდა, რომ მოსწავლეების ნაწილს ინტერნეტზე წვდომა არ აქვს, რაც სასწავლო პროცესს აფერხებს.

„აპრილის ბოლოს სოფელ ერგნეთის მოსახლეობის საჭიროებებს გავეცანით. ტრანსპორტით გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო, ამჯერადაც ონლაინ რეჟიმში. გორის მუნიციპალიტეტის ტირძნისის თემის სოფელი ერგნეთი საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მდებარეობს. ერგნეთი ესაზღვრება ტერიტორიას, რომელსაც დღეს რუსი სამხედროები აკონტროლებენ. სოფელში შესასვლელ გზაზე განთავსებულია ქართული პოლიციის საგუშაგო, თუმცა სოფელში შესვლა და გადაადგილება თავისუფლადაა შესაძლებელი. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ერგნეთმა უზარმაზარი ზარალი განიცადა, თითქმის სრულიად განადგურდა სოფლის მატერიალური ქონება. მიუხედავად ამისა, მოსახლეობა სოფელში საცხოვრებლად მაინც დაბრუნდა. 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ერგნეთში 639 ადამიანი ცხოვრობდა, 2014 წელს კი — 457. როგორც გასაუბრებისას გვითხრეს, ამჟამად სოფელში 274-მდე კომლი და 726 მკვიდრია.

COVID-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით ამოქმედებული შეზღუდვების გამო, სოფელს მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუბრუნდა. ადგილობრივები აღნიშნავენ, რომ პრობლემები არც კორონავირუსის გავრცელებამდე აკლდათ, თუმცა პანდემიასთან დაკავშირებით ამოქმედებულმა შეზღუდვებმა ყოფითი პრობლემები კიდევ უფრო მეტი სიმწვავით წარმოაჩინა. 2008 წლის ომის შემდეგ, ერგნეთში ახალი სკოლა აშენდა, შესაბამისი გარემოთი და სათანადო ინვენტარით აღჭურვილი. თუმცა, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის პარალელურად აღმოჩნდა, რომ მოსწავლეების ნაწილს ინტერნეტზე წვდომა არ აქვს, რაც სასწავლო პროცესს აფერხებს. მიუხედავად იმისა, რომ სოფელში სკოლამდელი აღზრდის ასაკის ბევრი ბავშვია, სოფელს საბავშვო ბაღი არ აქვს. **ერგნეთში დღემდე არ არის აფთიაქი. საგანგებო მდგომარეობის პირობებში, როდესაც ტრანსპორტის მოძრაობა პრაქტიკულად შეჩერებულია, მოსახლეობა მედიკამენტების შეძენას ვეღარ ახერხებს. არადა, სოფელში გულისა და წნევის წამლებს ბევრი საჭიროებს. სოფელში არც მაღაზია და პურის საცხობია. არსებულ პრობლემებს უტრანსპორტობაც დაემატა, გვიხსნიან, რომ პურის, პირველადი მოხმარების საგნების და პროდუქტების შეძენა ძალიან უჭირთ. მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც ფქვილის მარაგი არ ჰქონდა, პურს შეზღუდულად მოიხმარს. სოფელს არ აქვს მოსახლეობის თავშეყრის ადგილი, გასართობი ცენტრი, სპორტული მოედანი ან ბიბლიოთეკა, რასაც ადგილობრივი ახალგაზრდობა განსაკუთრებით განიცდის. ერგნეთში ფუნქციონირებს ოკუპაციის მუზეუმი, რომელიც ომით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზეა გახსნილი“,** — აღნიშნულია განცხადებაში.

DRI: ერგნეთში არ არის აფთიაქი, მაღაზია და პურის საცხობი!

„აქცენტი“

ბროკ ბიერმანი: ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საქართველოს სწრაფად ფეხზე დადგომაში დავეხმაროთ

ინტერვიუ USAID-ის ევროპისა და ევრაზიის ბიუროს ადმინისტრატორის თანაშემწე ბროკ ბიერმანთან

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ყველაზე მეტი, კოვიდ19-ით ინფიცირებული და გარდაცვლილი ჰყავს და ქვეყანა ბოლო რამდენიმე თვეა, უხილავ მტერთან საომარ მდგომარეობაშია, ის მაინც განაგრძობს პარტნიორი ქვეყნების ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას. გლობალურ პანდემიასთან ბრძოლაში აშშ-მა მსოფლიოს 120-ზე მეტ ქვეყანას უკვე აღმოუჩინა 775 მილიონი დოლარის ფინანსური მხარდაჭერა, რაც ჯანდაცვის სისტემებისა და კრიზისთან ბრძოლის შესაძლებლობების გაძლიერებას, მცირე ბიზნესის დახმარებას და ეკონომიკის სტიმულირებას ითვალისწინებს.

საქართველომ, კოვიდ-19-თან ბრძოლაში, აშშ-სგან უკვე მიიღო 1.7 მილიონი დოლარის ფინანსური დახმარება, რაც ქვეყანას ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე დაეხმარება ვითარების უკეთ მართვასა და მიყენებული სოციალური და ეკონომიკური ზიანის შემცირებაში. საქართველოსადმი გაწეულ დახმარებაზე, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს მთავრობასთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობაზე და სააგენტოს გლობალურ როლზე, ტელეკომპანია „იმედის“ კორესპონდენტი ვაშინგტონში, დემნა დევდარიანი USAID-ის ევროპისა და ევრაზიის ბიუროს ადმინისტრაციის თანაშემწეს ბროკ ბიერმანს ექსკლუზიურად ესაუბრა.

— ბატონო ბიერმან, მადლობას გიხდით, რომ ამ ექსტრაორდინარულ სამუშაო დღეებში ჩვენთვის დრო მაინც გამონახეთ. ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დიდი და პოზიტიური ისტორია აქვს საქართველოში და შეერთებული შტატების ფინანსური მხარდაჭერა ყოველთვის გულუხვი იყო ქართველი ხალხისადმი. ქვეყნისთვის ამ ტიპის დახმარებას, გლობალური პანდემიის ფონზე, განსკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მაინტერესებს, როგორ ეხმარება შეერთებული შტატების მთავრობა თავის პარტნიორ ქვეყანას — საქართველოს კრიზისის დაძლევაში და რა კონკრეტული მექანიზმებია გამოყენებული მიზნობრივი ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად?

— დემნა, პირველ რიგში, მინდა მადლობა გადაგიხადოთ, რომ მომეცით შესაძლებლობა ვრცლად ვისაუბრო აშშ-ის მთავრობისა და USAID-ის საქართველოში საქმიანობის შესახებ. მე მჭიდროდ ვთანამშრომლობ საქართველოს ელჩთან აშშ-ში დავით ბაქრაძესთან, ჩვენ რეგულარულად ვიმყოფებით კავშირზე. USAID-ს ძალიან ძლიერი და შესანიშნავი გუნდი ჰყავს თბილისში. ისინი თავდადებულად მუშაობენ და არ იშურებენ ძალისხმევას. აქვე გეტყვით, რომ მიმდინარე წელს, საქართველოში ვიზიტი მაქვს დაგეგმილი და როგორც კი საჰაერო მიმოსვლა აღდგება, აუცილებლად ჩავალ და ადგილზე, პირადად ვნახავ, თუ როგორ შეიძლება ჩვენი ქვეყნების პარტნიორობის კიდევ უფრო გაძლიერება.

შეერთებული შტატები განაგრძობს ქართველი ხალხისადმი მტკიცე მხარდაჭერას. ამ ეტაპზე კოვიდ 19-თან ბრძოლაში შეერთებული შტატები საქართველოს 3 ძირითადი მიმართულებით ეხმარება: საგანგებო რეჟიმში საქართველოსთვის გამოიყო 1.7 მილიონი დოლარი ჯანდაცვის სისტემის გაძლიერების, ინფექციის პრევენციისა და შემთხვევების იდენტიფიცირების სამუშაოების ჩატარების მიზნით. ჩვენ ვთანამშრომლობთ საქართველოს მთავრობასთან იმ მიზნითაც, რომ პანდემიის დროს, შენარჩუნდეს არსებით საჯარო სერვისებზე მოსახლეობის წვდომა. მაგალითისთვის, ჩვენ სპეციალური პროგრამირებით უზრუნველვყავით საჯარო უწყებები, რათა მათ თანამშრომლებს შეძლებოდათ სახლიდან მუშაობა. ასევე მოვახდინეთ დისტანციური სწავლების რესურსების მოდერნიზება, რათა მოსწავლეებსა და სტუდენტებს სწავლის პროცესის გაგრძელების საშუალება ჰქონოდათ.

ჩვენ ასევე ვეხმარებით საქართველოს ვირუსისგან მიყენებული ეკონომიკური ზიანის აღდგენაში. ეს მოიცავს საქართველოს მთავრობასთან პირდაპირ მუშაობას ეკონომიკური აღდგენის გეგმის ფორმულირებაზე. ჩვენი დახმარება ასევე განკუთვნილია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რათა მათ უკეთ მოახერხონ ახალ ეკონომიკურ პირობებზე მორგება. ჩვენი დახმარება ასევე მოიცავს ახალი ფინანსური საშუალებების იდენტიფიცირებასა და პოლიტიკის შემუშავებას ეკონომიკის გამოცოცხლებისთვის. ვეხმარებით სოფლის მეურნეობის სექტორის წარმომადგენლებს, რათა შეზღუდული გადაადგილების პირობებში, მათ შეძლონ ქვეყანაში საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება. ეროვნულ დონეზე ჩვენი დახმარება, აგრეთვე მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან სახელმწიფო ინსტიტუტებთან თანამშრომლობას, როგორიც ტურიზმის ეროვნულ სააგენტოა, რათა შევიმუშაოთ მიზანმიმართული, პოსტპანდემიური გეგმა. საქართველო ბუნების სილამაზეა და ტურიზმი წარმოადგენს ჩვენი მხარდაჭერის პრიორიტეტს. მოკლედ რომ გითხრათ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ რაც შეგვიძლია, რომ დავეხმაროთ საქართველოს ფეხზე რაც შეიძლება სწრაფად დადგომაში.

— თქვენი სააგენტო არამხოლოდ პარტნიორი ქვეყნების მთავრობებთან, არამედ ადგილობრივ არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ბიზნესებთან და ფონდებთან თანამშრომლობს. ამ თვალსაზრისით, როგორია USAID-ის პარტნიორული საქმიანობა საქართველოში?

— შეერთებული შტატების ხედვა, ფინანსური დახმარების გაწევაზე, ემყარება პარტნიორულ ურთიერთობებს, განსაკუთრებით ისეთი კრიზისის დროს, როგორიც კოვიდ 19-ია. საქართველოში, საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროგრამის ფარგლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ჩვენ უკვე გავეცით 15 სწრაფი რეაგირების გრანტი. ჩვენ ძალიან მოვიხიბლეთ ქართული ორგანიზაციების მუშაობით, განსაკუთრებით ლოკალურ დონეზე ზიანის შემცირებისა და აღდგენითი სამუშაოების განხორციელებით. ეს გრანტები სპეციფიკურია და ითვალისწინებს საკვები პროდუქტებითა და სამედიცინო ინვენტარით მომარაგებას განსაკუთრებით ხანშიშესული მოქალაქეებისთვის. გრანტების ფარგლებში ასევე ხორციელდება სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთა გადამზადება ვირუსით ინფიცირებულთა გამოვლენის, პრევენციისა და მკურნალობის შესახებ, ასევე მათ ტრენინგები უტარდებათ კოვიდ19-თან დაკავშირებულ, დეზინფორმაციულ კამპანიებთან ბრძოლის თაობაზეც. ჩვენ ასევე ვეხმარებით ქართულ კომპანიებს სამედიცინო ნიღბების დამზადებაში. USAID-ის მხარდაჭერით, ადგილობრივი კომპანიები ეხმარებიან საქართველოს მთავრობას 1 მილიონამდე სამედიცინო ნიღბის მიწოდებაში ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე.

დამატებით იმასაც გეტყვით, რომ ტექნიკური მხარდაჭერით, ჩვენ ბიზნესექტორს ახალ ეკონომიკურ რეალობასთან ადაპტირებაშიც ვეხმარებით, რაც ასევე გულისხმობს მათი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაძლიერებას, ნიღბების მწარმოებელ კომპანიებს კი პროდუქციის მიწოდების ჯაჭვის უკეთ მართვაში ვეხმარებით.

ასევე, ჩვენ განვაგრძობთ დამოუკიდებელი, ადგილობრივი და რეგიონული მედია ორგანიზაციების მხარდაჭერას, რათა მათ შეძლონ ზუსტი, ფაქტებზე დამყარებული ინფორმაციის გავრცელება, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ენაზე, რათა მოსახლეობამდე მიიტანონ ცნობები მთავრობის მიერ მიღებული უსაფრთხოების ზომების შესახებ.

— არსებობს ვარაუდი, რომ გლობალურ პანდემიას გარდაუვალი ეფექტი ექნება USAID-ის გლობალურ საქმიანობაზეც. საგენტოს შიგნით ხომ არ მიმდინარეობს დისკუსიები პარტნიორი ქვეყნებისთვის ფინანსური დახმარების შეკვეცის შესახებ?

— USAID-ის ძალისხმევა, რომ დაეხმაროს მსოფლიოს გლობალურ პანდემიასთან ბრძოლაში, კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს პრიორიტეტს, რაც არის ქვეყნების მხარდაჭერა, გახდნენ დამოუკიდებლები კრიზისებთან გამკლავებაში. შეერთებული შტატები ათწლეულებია მსოფლიოს ლიდერია გლობალური ჯანდაცვის სფეროში პარტნიორული მხარდაჭერის უზრუნველყოფაში და ჩვენ ასე გავაგრძელებთ მომავალშიც. კოვიდ-19-თან ბრძოლაში აშშ-ის მთავრობის მიერ გაღებულმა ფინასურმა დახმარებამ 775 მილიონი დოლარი შეადგინა. ამ ეტაპზე ჩვენ ვაფასებთ კრიზისის მიერ მიყენებულ ზიანს ჩვენს პარტნიორ ქვეყნებში და ვგეგმავთ შესაბამის, საპასუხო ნაბიჯებსაც, რაც მათ შორის გულისხმობს პასუხებს დემოკრატიულ ინსტიტუტებზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, ეკონომიკაზე, საჯარო სერვისებზე და წვდომას ენერგორესურსებზე. ჩვენ განვაგრძობთ ქვეყნების მხარდაჭერას მათი მხრიდან ზიანის შემცირების პროცესში და ამავე დროს, ვეხმარებით მათ განვითარებაში.

ეს მხარდაჭერა კვლავ ძლიერია საქართველოში, სადაც გვაქვს ღრმა და მტკიცე პარტნიორობა. ჩვენ მოწადინებულნი ვართ, რომ ქართველ ხალხს დავეხმაროთ კოვიდ-19-თან ბრძოლაში და შეერთებული შტატების მთავრობა გაგრძელებს საქართველოს დახმარებას მისი გრძელვადიანი მიზნების, ეკონომიკისა და ძლიერ დემოკრატიის მხარდასაჭერად.

დემნა დევდარიანი

ფეისბუქის ადმინისტრაცია და „ნაცმოძრაობა“

ფეისბუქის ადმინისტრაციამ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ ასოცირებულ პირებთან დაკავშირებული გვერდები და ჯგუფები წაშალა. ამის შესახებ კომპანიის განცხადებაშია ნათქვამი.

როგორც განცხადებაში წერია, ფეისბუქმა არაავთენტური ქმედებების გამო წაშალა ფეისბუქის 23 ანგარიში, 80 გვერდი, 41 ჯგუფი და ინსტაგრამის 9 ანგარიში. ფეისბუქის ადმინისტრაციის განმარტებით, ამ საქმიანობის უკან მყოფი პირები იყენებდნენ ავთენტური და ყალბი ანგარიშების კომბინაციას და მართავდნენ ჯგუფებსა და გვერდებს, რომლებიც თავს ასაღებდნენ საინფორმაციო ორგანიზაციებად.

„ისინი ხშირად აქვეყნებდნენ პოსტებს ადგილობრივი სიახლეებისა და პოლიტიკური თემების შესახებ, როგორიცაა 2018 წლის არჩევნები და კანდიდატები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, მმართველი პარტიისა და ხელისუფლების მიერ კორონავირუსის პანდემიაზე რეაგირების კრიტიკა. ბევრი ასეთი გვერდი 2018 წლიდან აქტიური არ იყო. ჩვენმა გამოძიებამ დაადგინა ამ ქსელის კავშირი პოლიტიკურ პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“. ეს აქტივობა აღმოვაჩინეთ ჩვენი გამოძიების ფარგლებში, როგორც რეგიონში საეჭვო კოორდინირებული ქცევა“, — ნათქვამია ფეისბუქის განცხადებაში. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ სოციალურ ქსელში ამ კამპანიის რეკლამაზე 23.800 დოლარი დაიხარჯა.

კოკა ყანდიაშვილს „ქართულ ოცნებასთან“ შეხება არ ჰქონია

2014 წლის შემდეგ კოკა ყანდიაშვილს „ქართულ ოცნებასთან“ შეხება არ ჰქონია. ამის შესახებ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მამუკა მდინარაძემ „ქართული ოცნების“ ოფისში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა.

მდინარაძის თქმით, ბუნებაში არ მოიპოვება ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც პარტიისა და კოკა ყანდიაშვილის კავშირს დაადასტურებს.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა კატეგორიულად უარყო „ქართული ოცნების“ კავშირი იმ გვერდებთან, რომელიც „ფეისბუქმა“ გააუქმა.

ცნობისათვის, ფეისბუქმა „ქართული ოცნების“ PR კონსულტანტის კოკა ყანდიაშვილის მიერ შექმნილი ეS-პერსონა და მასთან დაკავშირებული ასობით ანგარიში არაავთენტური ქცევის გამო გააუქმა.

სოციალური ქსელის გიგანტმა პლატფორმიდან ეSპერსონასთან დაკავშირებული 511 გვერდი, 101 პროფილი, 122 ჯგუფი და 56 ინსტაგრამ-ანგარიში წაშალა. როგორც განცხადებაში წერია, ეს ქსელი დაკავშირებული იყო 2019 წლის 20 დეკემბერს წაშლილ ქსელთან, როდესაც ფეისბუქმა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასთან დაკავშირებული ასობით ანგარიში გააუქმა.

დედაქალაქის მთავრობა მუშაობის 24-საათიან რეჟიმზეა გადასული

გუშინ, ორთვიანი პაუზის შემდეგ, თბილისის მერიაში ქალაქის მთავრობა შეიკრიბა. კორონავირუსის პანდემიის გამო ორი თვეა დედაქალაქის მთავრობის სხდომა არ ჩატარებულა, მაგრამ ვმუშაობდით 24 საათი, — განაცხადა თბილისის მერმა კახა კალაძემ.

მისი თქმით, რთული ვითარების მიუხედავად დედაქალაქში ინფრასტრუქტურული პროექტები გრძელდება. **„უნდა აღინიშნოს, არა იმ ტემპით, როგორც ეს წლის დასაწყისში იყო. მაგრამ სამუშაოები არ შეჩერებულა და ვაგრძელებთ ყველა მიმართულებით მუშაობას“,** — განაცხადა კალაძემ.

* * *

დედაქალაქის მერმა მრავალ საჭირბოროტო საკითხებზე **გაამახვილა ყურადღება.** მისივე თქმით, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ძალიან ბევრი მიმართულება დაზარალდა. მათ შორის ტაქსის და ე.წ. ყვითელი მიკროავტობუსების მძღოლები.

„თბილისის ტაქსის მფლობელებს ის სამთავრობო ანტიკრიზისული შეღავათი შეეხება, რომელიც ერთჯერადად 300-ლარიან დახმარებას ითვალისწინებს. ეს ეხება ყველა იმ ტაქსის მძღოლს, რომელთაც ლიცენზია გააჩნიათ. ასევე, ამ პროექტით ისარგებლებენ მიკროავტობუსის მძღოლები. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მიკროავტობუსის მძღოლებს მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ მთელი ამ პროცესის განმავლობაში, იქნებოდა ეს ექიმების გადაყვანა, საკარანტინო ზონებიდან ხალხის გამოყვანა და კონკრეტულ რაიონებსა და ქალაქებში ჩაყვანა, ჩართული იყვნენ ამ პროცესში. ჩვენ ეს ვალდებულება გვქონდა აღებული, ყველა საკარანტინო სივრციდან თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო ადამიანების საკუთარ სახლებში დაბრუნება. პირდაპირ ოჯახებში მიგვყავდა გამოჯანმრთელებული ადამიანები, რომლებმაც კარანტინი გაიარეს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, ამისთვის საჭირო იქნება გარკვეული, მინიმალური პროცედურების გავლა და შესაბამისი სამსახურებისთვის მონაცემების მიწოდება.

* * *

დედაქალაქის მერის განცხადებით, **დედაქალაქის მერიამ იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიის ძველი ფუნქციით ქალაქისთვის დასაბრუნებლად, ხანგრძლივი შრომა და ძალისხმევა გასწია.** უახლოეს დღეებში კი ტერიტორიის პრივატიზების მიზნით, აუქციონი გამოცხადდება.

„ჩვენ ამ თემას პანდემიამდეც არაერთხელ შევეხეთ. საქმე ეხება იპოდრომის მიმდებარედ, ჩოგბურთის ყოფილი კორტების ტერიტორიას, რომელიც წინა ხელისუფლების დროს გასხვისებული იყო. ჩვენ ძალიან დიდი შრომა დაგვჭირდა იმისთვის, რომ ეს კონკრეტული ფართი დედაქალაქისთვის დაგვებრუნებინა. გვქონდა ხანგრძლივი მოლაპარაკება ინვესტორთან, შევთავაზეთ ადგილმონაცვლეობა და ეს ტერიტორია დღეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია. ჩვენ დიდი ხნის შემდეგ და დიდი ძალისხმევის შედეგად, ეს ტერიტორია დავიბრუნეთ. დღეს ეს კონკრეტული ადგილი საპრივატიზაციოდ გამოგვაქვს სპორტული კომპლექსის აღდგენა-განვითარების პირობით. ანუ ეს იქნება პირობიანი პრივატიზაცია — ტერიტორიაზე უნდა აღდგეს ჩოგბურთის კორტები. ასევე, სავალდებულო იქნება საცურაო აუზისა და ფიტნესკლუბის მოწყობა. ქონება უკვე შეფასებულია სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ და უახლოეს მომავალში ბიზნესსექტორს საპრივატიზაციოდ წარედგინება“ — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა იმედი გამოთქვა, რომ კერძო სექტორი აღნიშნულ ტერიტორიაზე სპორტული კომპლექსის მოსაწყობად იაქტიურებს.

მარინა ენდელაძე:

კორონავირუსი ყველას არ კლავს, ადამიანთა უმრავლესობა იკურნება...

„კორონავირუსის ლეტალურმა ფუნქციამ ლიკვიდაცია განიცადა“, — ამბობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი ლევან რატიანი და, ჩვეულებისამებრ, დამაიმედებელია მისი სიტყვები.

რატიანის თქმით, იმ შემთხვევაშიც, თუ პაციენტს გარკვეული გართულებები აღენიშნება და აქვს პოლიორგანული უკმარისობა, კორონავირუსის ლეტალობის ინდექსი მაღალი არ არის.

ლევან რატიანი იმასაც იხსენებს, რომ, როგორც კი სამყაროში ეს ვირუსი გაჩნდა, ყველამ ერთად დაარქვა მას მკვლელი ვირუსის სახელი, რადგან ახალი იყო და ლეტალობის მაღალი ინდექსი ჰქონდა, მაგრამ ახლა კორონავირუსის ამ ფუნქციამ ლიკვიდაცია განიცადა. ექიმის მოსაზრებით, კოვიდი სულაც არ არის მკვლელი ვირუსი, ეს არის ინფექცია, რომელიც კაცობრიობამ უნდა მოიხადოს. რამდენად შეიცვალა კორონავირუსმა ბუნება, ამის შესახებ For.ge-ს თბილისის ინფექციური საავადმყოფოს ბოქსირებული განყოფილების უფროსი მარინა ენდელაძე ესაუბრა.

— კლინიცისტები გვაიმედებენ, რომ კორონავირუსი აუცილებლად დაწყნარდება და ეს ბუნების კანონია. მას შემდეგ, რაც გაჩნდა ახალი კორონავირუსი, როგორ განიცადა მან მუტაცია და რამდენად შეიცვალა მისი ბუნება? ელით, რომ მინავლდება ეს ვირუსი, თუ ისევ წამოყოფს თავს ზამთარში, როგორც ამას ენტონი ფაუჩი პროგნოზირებს, რომ ზამთარი ძალიან რთული გველის?

— მეორე ტალღა მოსალოდნელია. ზოგადად, მეორე ტალღას ველოდებით, მაგრამ ეს ზუსტად არავინ იცის, როდის იქნება. ამ ვირუსის სრული ელიმინაცია (განდევნა), ალბათ, ვერ მოხერხდება, ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება. ენტონი ფაუჩის კომპეტენციაში ვერავინ შეიჭრება, სავარაუდოდ, მისი პროგნოზი სწორი იქნება, მაგრამ ზუსტად ამაზე საუბარი არ შეიძლება.

— ადამიანის ორგანიზმთან ჭიდილში რა ცვლილებები განიცადა კორონავირუსის ბუნებამ?

— ასე კატეგორიულად არ შემიძლია გითხრათ. თითქოს ჩვენთან ძალიან მძიმე არ არის მისი გავრცელება, მაგრამ გვაქვს ძალიან მძიმე შემთხვევებიც, რომლებსაც სხვადასხვა სიმპტომები აქვთ. ზუსტად ერთნაირი სიმპტომები ყველას არ აქვს. ფაქტია, ეს ვირუსი ყველას არ კლავს, ადამიანთა უმრავლესობა გადარჩება. ეს ასეც იყო, უბრალოდ, ზოგიერთ ქვეყანაში, ეტყობა, ლეტალობა ბევრ ფაქტორთან იყო დაკავშირებული, რადგან მძიმე სიმპტომებით მიდიოდნენ სტაციონარში, ფაქტობრივად, დამძიმებულები მიდიოდნენ.

— გამუდმებით გვესმის, რომ კორონას უნდა დავხვდეთ მყარი იმუნიტეტით. როგორ უნდა მოხდეს იმუნიტეტის გამომუშავება, მით უმეტეს, ახლა, როდესაც ადამიანები სახლში არიან ჩაკეტილები და იმუნიტეტი დაქვეითებულია?

— ზაფხული მოდის, რა თქმა უნდა, გამოვალთ გარეთ, ბუნებრივ დე ვიტამინს მივიღებთ, გვექნება შესაბამისი კვება და, თუ კარგი იმუნური სისტემა გვაქვს და ფუნქციონირებს, სავარაუდოდ, გვექნება იმუნიტეტიც, მაგრამ თვითონ იმუნიტეტის ხანგრძლივობაზეც არ არის ზუსტი ინფორმაცია. ზოგიერთს მყარი იმუნიტეტი აქვს და მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება, ზოგს წლამდე შეიძლება გაჰყვეს. ჩვენ ვინც გამოვიკვლიეთ, უკვე გამოჯანმრთელებულები, მათ აქვთ გამოჯანმრთელებული ანტისხეულები.

— პოლიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს საგანგებო მდგომარეობა, რადგან ჩვენთან არ არის ვირუსის ისეთი მაღალი გავრცელება და ლეტალობა, როგორც სხვა ქვეყნებში. მათი აზრით, რაც პანიკის ტალღა შემოვიდა, ხელისუფლებამ ისარგებლა ამ სიტუაციით. ხომ არ არის გადაჭარბებული ცალკეული შემზღუდავი ღონისძიებები?

— საგანგებო მდგომარეობა მისაღებია იმიტომ, რომ მოხდეს პრევენცია და არ იყოს ბევრი ავადმყოფი. გარკვეულწილად, სახლში ჩაკეტვა ადამიანების ფსიქიკაზე მოქმედებს და ძნელია ამის ატანა, მაგრამ რაღაცნაირად უნდა შემოვუძახოთ ჩვენს თავს. სამწუხაროდ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, თვითიზოლაცია და კარანტინი პოლიტიკურ თემად გადააქციეს, მაგრამ ეს მარტო ჩვენს ქვეყანაში ხომ არ მომხდარა?! ჩემთვის, როგორც მედიკოსისთვის, უკეთესი იქნება, რაც ნაკლები პაციენტი შემოვა კლინიკაში, ალბათ, ყველასთვის ასე სჯობს, რადგან ნაკლები პაციენტის არსებობას მჭიდრო კონტაქტების არარსებობა განაპირობებს. პოლიტიკაში მაინც არ მინდა ჩავერთო, თუმცა მე ვფიქრობ, ჩვენი სახელმწიფო სწორ გზას ადგას ამ მიმართულებით.

— უხანის ლაბორატორიის გახსნას მოითხოვენ ამერიკელები, ჩნდება კითხვები ვირუსის ხელოვნურად გავრცელებასთან დაკავშირებით. პოლიტიკოსების მსგავსად, ინფექციონისტებსაც ხომ არ გიჩნდებათ კითხვები ამ მიმართულებით?

— ასეთ ღრმა პოლიტიკაში არ მინდა გავეხვიო, ამის მტკიცება არავის შეუძლია. ეს არის სერიოზული საკითხი და, ალბათ, სასამართლო პროცესებიც გაიმართება ამ თემის ირგვლივ, თუკი ვინმე ჩინელებს დაადანაშაულებს. ნამდვილად ვერ გეტყვით, ეჭვი ყველას აქვს ამაზე, მაგრამ კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვით.

— რემდესივირის თაობაზეც გკითხავთ. საქართველოშიც აპირებენ მის შეძენას. რამდენად ეფექტური იქნება იგი?

— ზუსტად ვერ გეტყვით, რადგან ყველა პრეპარატი კვლევის საგანია. არის ზოგიერთი კლინიკა, რომელიც იმ ადამიანებზე დაყრდნობით, ვინც გამოიყენა ეს მედიკამენტი, ამტკიცებს, რომ რემდესივირს დადებითი შედეგი აქვს. ზოგან ამბობენ უარყოფით შედეგს. ჯერჯერობით არც ერთ მედიკამენტზე კატეგორიულად არაფრის თქმა არ შეიძლება.

— მათ შორის, არც იაპონურ კამოსტატზე, რომელსაც ბატონი თენგიზ ცერცვაძე უფრო მაღალ შეფასებას აძლევს და ამბობს, რომ ამ მედიკამენტმა შესაძლოა, მომავალში რემდესივირსაც გადაასწროს?

— დიახ, კამოსტატის შესახებაც არის საუბარი, მის შეძენას ჩვენც ვაპირებთ და უკვე გვაქვს გარკვეული მოლაპარაკებები, მაგრამ შედეგი რომელზე იქნება და რომელია უფრო კარგი, ამის შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით. იაპონური კამოსტატის შესაძლებლობებს გამოვცდით მისი შეძენის შემდეგ. თუმცა მაინც გავიმეორებ და ვიტყვი, რომ ჯერჯერობით ვერავინ დადო დასკვნა, რომელი პრეპარატი იქნება უფრო ეფექტური და რომელი — არა.

მანანა ნოზაძე



ინფიცირებულთა რიცხვი 3 600 000-ს გადასცდა

ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზის მიხედვით, ეპიდემიის დაწყების შემდეგ მსოფლიოში კორონავირუსი 3 663 824 ადამიანს დაუდასტურდა.

მსოფლიო მასშტაბით „კოვიდ-19“-ით დაღუპულების რაოდენობა 257 000-ს გადასცდა. იზრდება ახალი ტიპის კორონავირუსისგან გამოჯანმრთელებული ადამიანების რაოდენობა – „კოვიდ-19“-ისგან მსოფლიოში 1 199 257 ადამიანი გამოჯანმრთელდა.

ამერიკა-ჩინეთის ღია დაპირისპირება

შეკითხვები, რომლებზეც აშშ-მა პასუხი უნდა გასცეს!

ბოლო დღეებში აშშ-ის ხელისუფლების მხრიდან მუდმივად ისმის ბრალდებები ჩინეთის წინააღმდეგ, კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით. ჩინეთის ხელისუფლებამ ამ დღეებში 10 შეკითხვა გაუგზავნა დონალდ ტრამპს, რომლებზეც პასუხს ითხოვს. ვირუსი რომ ჩინეთიდან გავრცელდა, ამაზე არავინ დავობს. ჩინეთის შეკითხვებიც მეტად საინტერესოა. მაშ, ასე:

პირველი შეკითხვა: რატომ არ ასაჯაროებს აშშ გასულ წელს განახლებული ექსპერიმენტის შესახებ ინფორმაციას ფრინველის გრიპის ვირუსის მოდიფიცირების შესახებ?

განმარტება: 2019 წლის თებერვალში ამერიკული ჟურნალის Science-ის საიტი წერდა, რომ აშშ-ის მთავრობამ საიდუმლოდ განაახლა ექსპერიმენტი ფრინველის გრიპის ვირუსის მოდიფიკაციის ცვლილების შესახებ. კვლევა მიზნად ისახავდა H5N1 ვირუსის ტრანსფორმირების უფრო მეტ შესაძლებლობას. კერძოდ, ადამიანიდან ადამიანზე გადაცემას. ჩინური მხარის შეკითხვა მდგომარეობს იმაში, რომ აშშ-მა ექსპერიმენტი განაახლა მაშინ, როცა ფრინველის გრიპი 4 წლის წინათ დასრულდა.

მეორე შეკითხვა: რატომ დაიკეტა აშშ-ის არმიის ინფექციურ დაავადებათა ინსტიტუტი?

განმარტება: ეს ინსტიტუტი 2019 წლის ივლისში დაიხურა. ამა წლის მარტში კი აშშ-ის ხელისუფლებას ინსტიტუტის დახურვის მიზეზების ახსნა მოუწია.

მესამე შეკითხვა: 2019 წელს აშშ-ის ჯანდაცვის სამინისტრომ და სოციალურმა სამსახურებმა შეიმუშავეს სცენარი, როგორ იმოქმედებდნენ მასობრივი პანდემიის შემთხვევაში. ეს უბრალოდ, დამთხვევაა?

განმარტება: ამა წლის მარტში გაზეთი „ნიუ იორკ თაიმსი“ წერდა, რომ 2019 წლის იანვარ-აგვისტოში ჩატარდა ვირუსის გავრცელების მოდელირებული სცენარი სახელწოდებით „ჟოლოსფერი ინფექცია“, რომელშიც შეკითხვაში დასმულ სამსახურებთან ერთად რამდენიმე ტურისტული ჯგუფიც მონაწილეობდა. სცენარის მიხედვით, „ტურისტები“ ვითომდა ჩინეთში დაინფიცირდნენ და იქიდან აშშ-ს ეწვივნენ.

საინტერესოა, რომ 2019 წლის ოქტომბერში რამდენიმე ამერიკულმა კომპანიამ სწავლება ჩაატარა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა ემოქმედათ ისეთი პანდემიის პირობებში, როგორიც არის CAPS (ეს ვირუსი ბოლო დროს ხშირად ნახსენებ SARS-ზე უარესია).

მეოთხე შეკითხვა: თუკი აშშ-ის დაზვერვამ ხელისუფლებას ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში შეატყობინა ინფორმაცია კორონავირუსის შესახებ, რატომ არ მიიღეს ზომები - მომზადებულიყვნენ სათანადოდ?

განმარტება: დაზვერვამ მართლაც მოახდინა აშშ-ის ხელისუფლების ინფორმირება, აშშ-ის ხელისუფლებამ კი 13 მარტამდე საგანგებო მდგომარეობა არ გამოაცხადა.

მეხუთე და მეექვსე შეკითხვები აშშ-ში დაინფიცირებულთა და გარდაცვლილების რაოდენობას ეხება და აქაც, ჩინეთის შეკითხვა ისევ ზომების მიღების დაგვიანებაში მდგომარეობს.

საინტერესოა მეშვიდე შეკითხვა: საიდან და როგორ მიიღო აშშ-მა კორონავირუსის შტამები ისე მოკლე დროში, რომ COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინის ტესტირებას შეუდგა?

განმარტება: 16 მარტს გაზეთმა „The Wall Street Journal“-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ მოხალისეებზე დაიწყო ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის ტესტირება. ჩინური მხარე ამტკიცებს, რომ შტამების მიღების გარეშე, აშშ-ში ვაქცინის ტესტირებას ვერ დაიწყებდნენ.

აი, აქ არის საინტერესო მომენტი: ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ შეკითხვით ჩინეთის კომპარტიამ საკუთარი თავი „ჩაუშვა“... ზოგი ექსპერტი იმასაც ვარაუდობს, რომ ჩინეთის ლაბორატორიიდან ეს შტამები გაქრა და ამაში აშშ-ის სპეცსამსახურების ხელიც ურევია. არის კიდევ ერთი ვარიანტი: იქნებ „შეთქმულების თეორიის“ მაგვარი რაღაც იყო, რომელიც ბოლო მომენტში ჩინეთმა დაარღვია? ეს ყველაფერი ალბათ, მომავალში გაირკვევა.

დარჩენილი **3 შეკითხვა** ეხება კორონავირუსზე ინფორმაციის გავრცელებასა და ჩინელების ეჭვს აშშ-ის შიდა და სხვა ქვეყნებში მდებარე ლაბორატორიებზე, რასაც ყველა აბსურდულ საკითხად მიიჩნევს.

დასკვნა: ის შეკითხვები, რომლებსაც ჩინური მხარე გაზეთებსა და საინფორმაციო საიტებზე დაყრდნობით სვამს, შესაძლოა, არასერიოზულად იქნეს მიჩნეული, ერთადერთი საინტერესო მეშვიდე შეკითხვაა, რომელზედაც საფუძვლიანი პასუხი უნდა გასცეს არა მხოლოდ აშშ-მა, არამედ – ჩინეთის ხელისუფლებამაც.

თენგიზ ჩოგანიძე

ჭირმა თავი არ დამალა!

ამერიკელებიც ასე მოიქცეოდნენ?!

დღემდე მსოფლიოს თავსატეხად იქცა, კორონავირუსი ხელოვნურად შექმნილი ბიოიარაღია თუ ბუნებრივად გავრცელებული ვირუსი?! კითხვებს ამძაფრებს ისიც, რატომ გააქრეს ჩინელებმა ის მედიკოსები და ბლოგერები, რომლებიც კორონავირუსის გავრცელების შესახებ ყველაზე ადრე ალაპარაკდნენ?!

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ებრაელი **დავით ბოთერა** კორონავირუსის პანდემიას ძვირად ღირებულ ექსპერიმენტად მიიჩნევს, რომლის მიზანიც ადამიანთა მოდგმის ხელოვნურად გადარჩევაა. მისი აზრით, ბუნებრივი გადარჩევის ბიოლოგიურ ბერკეტებს მხოლოდ გენეტიკური სიმტკიცე ვერ გადალახავს, ამას სჭირდება ხელოვნური იმუნიტეტის დანერგვაც, ანუ ხელოვნურად გადარჩევა. დღეს კი ხელოვნურად გადარჩევის პროცესს ვირუსი კორონა ემსახურება.

დონალდ ტრამპს კორონავირუსთან დაკავშირებით ყველაზე მეტი კითხვა გაუჩნდა და ამის გამო ტრამპი არა მარტო ჩინელებს გადასწვდა, არამედ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაც დაადანაშაულა, რომელსაც „უნდა შერცხვეს, რადგან გადაიქცა ჩინეთის პიარსააგენტოდ“.

ამერიკის ლიდერის თქმით, კორონავირუსის წარმოქმნასთან დაკავშირებით ბევრი უცნაური რამ ისმის, რასაც აშშ იძიებს. დონალდ ტრამპი არც მალავს, რომ განიხილავს ვარიანტებს, როგორ აგოს პასუხი პეკინმა, თუკი აღმოჩნდება, რომ ჩინეთი კოვიდის რეალურ მონაცემებს მალავდა. ტრამპი დარწმუნებულია, რომ ჩინეთი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მან ნოემბრის არჩევნები წააგოს.

ტრამპი – ჩინეთს, რუსეთი კი ტრამპს ადანაშაულებს კორონას გავრცელებაში. ჯერ კიდევ თებერვალში მომზადებული სიუჟეტით რუსეთის პირველი არხი შეეცადა, მაყურებელი დაერწმუნებინა, რომ კორონავირუსი ტრამპის შექმნილია და ეთნიკური ნიშნით ვრცელდება.

რას ფიქრობენ კორონავირუსის ხელოვნურად გავრცელებასთან დაკავშირებით ქართველი კლინიცისტები?

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ექიმი-ეპიდემიოლოგი, მედიცინის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **ოთარ ჩოკოშვილი** ფიქრობს, რომ ეს ისეთი თემაა, რომელზეც შეიძლება დაუსრულებლად ვიდავოთ, მაგრამ ჭეშმარიტებამდე ვერ მივიდეთ. მეცნიერი აცხადებს, რომ ამ დაავადების გავრცელების სამი შესაძლო ვარიანტია: პირველი, რომ ვიღაცამ კორონა ხელოვნურად გაავრცელა და ტერორისტული მიზნების გამო შექმნა ახალი ვირუსი. თუმცა ამას სჭირდება საფუძველი, ვიღაც უნდა იყოს დაინტერესებული, ახალი ვირუსით ადამიანები მოკლას, დაავადოს, რომელიღაც ქვეყანას ავნოს. ამ ვირუსმა კი დღეისთვის მთელ მსოფლიოს ავნო, მათ შორის, ჩინელებს.

რაც შეეხება ჩინეთში ექიმების გაქრობის ფაქტს, ოთარ ჩოკოშვილის აზრით, თვით ამერიკაც რომ ყოფილიყო ჩინეთის ადგილას, სავარაუდოდ, ისიც დამალავდა კორონავირუსის შემთხვევებს. როგორც წესი, როცა ვრცელდება დაავადებები და, ზოგადად, ჩვენს ცხოვრებაშიც ცუდი ფაქტი ხდება, რომელიც რეპუტაციას შეულახავს ადამიანს, ამ ფაქტის გავრცელებას არავინ ცდილობს. მით უმეტეს, ეს შეეხება ისეთ კონსერვატულ ქვეყანას, როგორიც ჩინეთია.

კორონავირუსის გავრცელება ორი მიზეზის გამო დაიმალა. პირველი მიზეზია, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა მასზე ისეთი რეაგირება არ მოახდინეს, რადგან მათ წინ ედოთ ორი დიდი გამოცდილება – „სარსისა“ და „მერსის“, რომლებზეც ფიქრობდნენ, რომ ეს ეპიდემიები საკმაოდ ადვილად გააკონტროლეს და, მიუხედავად იმისა, რომ მათ დიდი სიკვდილიანობა ჰქონდათ, ასე ფართოდ არ გავრცელდნენ მსოფლიოში. მეორე მიზეზი კი ის არის, რომ ჩინელებმა იფიქრეს, ამ ვირუსს მარტივად, ლოკალურად მოაგვარებდნენ.

ასე რომ, საერთაშორისო ჩარევამაც დაიგვიანა და მივიღეთ ის, რომ ვირუსი გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც, პირველ თვეებში გავრცელდა იქვე – კოარეაში, იაპონიაში, ტაივანში, შემდეგ გადავიდა ამერიკაში, ევროპაში და დღეს უკვე მსოფლიო პრობლემა გახდა.

„ანალოგიურად ხდება შიდსის დროსაც. მე პირადად შიდსზე მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს, 15 წელია, ამ დაავადებაზე ვმუშაობ და პაციენტები, როდესაც კარგად გრძნობენ თავს, ან დაავადება ისეთი სიმძიმით არ აქვთ, უფრთხიან, ერიდებიან ჩვენს ცენტრში მოსვლას, წამლის დალევას, არ იჯერებენ და, სამწუხაროდ, ასეთი პაციენტები გართულებულ მდგომარეობაში სხვა კლინიკიდან მოხვედრილან ჩვენთან. კაცმა ჭირი მალა და ჭირმა თავი ვერ დამალაო, ასე ხდება ხოლმე. ეს მარტო ჩინეთს არ დაემართა. ეს დაემართა ევროპის ქვეყნებსაც. ვთქვათ, ჩინელები პატიოსნად არ მოიქცნენ და დამალეს ვირუსი, ამერიკელებს ეს რატომ დაემართათ? რატომ ვერ დაიცვეს საკუთარი ხალხი ვირუსისგან? არც ისე მარტივი ყოფილა და, ალბათ, იმიტომ. ჩინეთმა ეს მაინც შეძლო“, – მიიჩნევს ოთარ ჩოკოშვილი.

კორონავირუსის ხელოვნურობასთან დაკავშირებით იმუნოლოგი **დავით ნანობაშვილი** აცხადებს, რომ გამორიცხული არაფერია, მით უმეტეს, ჩინეთმა შესაძლოა მონაცემები დამალა, რადგან იქ კომუნისტური წყობაა და დახურული ქვეყანაა.

„მე საბჭოთა კავშირის დროს ვიცხოვრე. როცა ქვეყანა დახურულია, არც არის გასაკვირი, რომ რაიმე მონაცემები თავიდან დაიმალოს. ამერიკამ ახლა უნდა დაადგინოს, საიდან გაძვრა ეს ვირუსი. თუ ჩინელებს ლაბორატორიიდან გაუძვრათ ვირუსი, მაშინ, რა თქმა უნდა, დასჯიან ჩინეთს და გადაახდევინებენ თანხას. ხოლო, თუ მართლა ბაზრიდან განვითარდა შემთხვევით, მაშინ ვერ გადაახდევინებენ თანხას. კორონავირუსის სიტუაციას კიდევ ბევრი პოლიტიკოსი გამოიყენებს, თანაც არაერთი წელი. ეს უკვე პოლიტიკური თამაშებია, ისევე, როგორც ტრამპის ნათქვამი, რომ მისი ხელმეორედ გაპრეზიდენტება ჩინელებს არ უნდათ“, – აცხადებს დავით ნანობაშვილი.

მარიამ ლოლაშვილი

სრუ დამპყრობელმა მაშინაც უკადრებელი იკადრა!

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის „სამშვიდობო“ ხელშეკრულება

საქართველო-რუსეთის მოლაპარაკების პროცესში უმნიშვნელოვანესი იყო საკითხი: რომელ საზღვრებში ცნობდა საბჭოთა რუსეთი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას? შემუშავებული იქნა ფორმულა: საბჭოთა რუსეთი საქართველოს ცნობდა ყოფილი თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ფარგლებში. ეს ფორმულა საქართველოსთვის მისაღები იყო, თუ გუბერნიების საზღვრებად მიჩნეული იქნებოდა 1904 წლამდე არსებული საზღვრები. 1904 წლამდე თბილისის გუბერნიაში შედიოდა ზაქათალის ოკრუგი (ჭარ-ბელაქანი – საინგილო), ხოლო ქუთაისის გუბერნიაში – სოხუმის ოკრუგი (აფხაზეთის სამთავროს ისტორიული ტერიტორიის უდიდესი ნაწილი) და ბათუმის ოლქი (აჭარა-ართვინი). 1904 წელს სოხუმის ოკრუგის (აფხაზეთის) ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი (ე.წ. გაგრის სექტორი) შავი ზღვის გუბერნიას გადასცეს. ცხადია, რუსეთს ხელს აძლევდა ქუთაისის გუბერნია 1904 წელს დადგენილ საზღვრებში განეხილა. ქართულმა დელეგაციამ ეს პრინციპული საკითხი არ დათმო. რუსეთმა უკან დაიხია. სოხუმის ოკრუგი (აფხაზეთი) მთლიანად საქართველოს საზღვრებში დარჩა. სახელმწიფო საზღვარი რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულების **მესამე მუხლის პირველი პარაგრაფით** ასე განისაზღვრა: **„საქართველოსა და რუსეთს შორის სახელმწიფო საზღვარი გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუზე ახახჩას მთამდე, ახახჩას მთაზე და აგაპეტას მთაზე, ყოფილი შავი ზღვის, ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების ჩრდილოეთ საზღვარზე ზაქათალის ოკრუგამდე, ზაქათალის ოკრუგის აღმოსავლეთ საზღვარზე სომხეთის საზღვრამდე“**. როგორც ვხედავთ, ხელშეკრულების მესამე მუხლის პირველი პარაგრაფის ძალით ზაქათალის ოკრუგი (ჭარ-ბელაქანი – საინგილო) საქართველოს საზღვრებში რჩებოდა. საბჭოთა რუსეთის მიერ სოხუმის ოკრუგისა (აფხაზეთისა) და ზაქათალის ოკრუგის (ჭარ-ბელაქანი – საინგილო) საქართველოს ტერიტორიად აღიარება ქართული დიპლომატიის დიდ გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ.

> საქართველოსთვის ძალზე ხელსაყრელი იყო ხელშეკრულების **მეოთხე მუხლი,** რომლის პირველი პუნქტი იუწყებოდა: **„რუსეთი ვალდებულებას იღებს, საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად ცნოს ამ ხელშეკრულების III მუხლის I პარაგრაფით საქართველოსთვის შავი ზღვის გუბერნიის ტერიტორიის მიკუთვნების გარდა, რუსეთის ყოფილი იმპერიის გუბერნიები და ოლქები: თბილისის გუბერნია, ქუთაისის გუბერნია და ბათუმის ოლქი ამ გუბერნიებისა და ოლქის ყველა მაზრითა და ოკრუგით, ასევე ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგები“**. ამრიგად, ძირძველი ქართული ტერიტორია, ჭარ-ბელაქანი (საინგილო), იგივე ზაქათალის ოკრუგი, საქართველოს კუთვნილ ტერიტორიად ცხადდებოდა, რასაც საბჭოთა აზერბაიჯანის მხრიდან სასტიკი პროტესტი მოჰყვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო **მეოთხე მუხლის** მეორე პარაგრაფიც, რომელიც სამხრეთ კავკასიის ტერიტორიის ხარჯზე საქართველოს ტერიტორიის გაზრდის ფორმალურ შესაძლებლობას იძლეოდა: **„მომავალში, საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებს შორის, გარდა რუსეთისა, ურთიერთობის გარკვევის კვალობაზე, ამ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის არსებული იმ საზღვრების გარდა, რომელიც ამ ხელშეკრულების III მუხლშია აღწერილი, რუსეთი მზადყოფნას გამოთქვამს საქართველოსა და ამ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებების ძალით საქართველოს შემადგენლობაში შესულად ცნოს ყოფილი კავკასიის სამეფისნაცვლოს ესა თუ ის ნაწილი“**.

ძალზე არახელსაყრელი, მძიმე იყო საქართველოსთვის ხელშეკრულების **მეხუთე მუხლი,** რომელიც ათი პუნქტისაგან შედგებოდა. მეხუთე მუხლი საქართველოს ავალდებულებდა: 1. საქართველოს მთავრობას დაუყოვნებლივ უნდა დაეპატიმრებინა და საკონცენტრაციო ბანაკებში მოეთავსებინა ხელშეკრულების დადების მომენტისთვის საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი საბჭოთა რუსეთის მთავრობისადმი მტრულად განწყობილი და რუსეთში არსებული ხელისუფლების დამხობის მოსურნე სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ნაწილები, ასევე იმ პოლიტიკურ და სამხედრო ძალთა წარმომადგენლები, რომლებიც თავს აცხადებდნენ რუსეთის მთავრობად, ან რუსეთის რომელიმე ნაწილის მთავრობად; 2. საქართველოს მთავრობას დაუყოვნებლივ უნდა განეიარაღებინა საქართველოს ნავსადგურებში მყოფი საბჭოთა რუსეთის მთავრობისადმი მტრულად განწყობილი სამხედრო და პოლიტიკურ ძალთა კუთვნილი გემები, ხოლო ეკიპაჟის წევრები საკონცენტრაციო ბანაკებში მოეთავსებინა; 3. საქართველოს მთავრობას დაუყოვნებლივ, ყოველგვარი პირობის გარეშე, უნდა გადაეცა რუსეთისთვის საქართველოს ტერიტორიაზე განიარაღებულ საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილ სამხედრო და პოლიტიკურ ძალთა მთელი ქონება, მათ შორის სამხედრო ქონებაც (სამხედრო გემები, არტილერია, ავიაცია და სხვ.); 4. რუსეთი პირობას დებდა, რომ სიკვდილით არ დასჯიდა საქართველოს მიერ რუსეთისთვის გადაცემულ პირებს; 5. საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნის ტერიტორიიდან უნდა გაეძევებინა ყველა სახის სამხედრო შენაერთი, რომელიც არ შედიოდა ქართული ჯარის შემადგენლობაში; 6. საქართველოს მთავრობას მომავალშიც არ უნდა დაეშვა თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე ისეთი სამხედრო შენაერთების არსებობა, რომლებიც არ შედიოდნენ ქართულ ჯარში; 7. საქართველოს მთავრობას ქართულ ჯარში არ უნდა მიეღო, მათ შორის მოხალისედაც, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ და საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილ სამხედრო შენაერთებში მომსახურე პირები, რადგან ისინი ეროვნებით ქართველები არ იყვნენ; 8. საქართველოს მთავრობას თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე არ უნდა გაეჩერებინა ისეთი ძალები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საბჭოთა რუსეთში არსებული წყობილების დამხობას. ამასთან ერთად, ამ ძალებისთვის არ უნდა მიეცა უფლება, საქართველოს ტერიტორია გამოეყენებინათ იმ ტვირთის გადასატანად, რომელიც რუსეთთან ომში იქნებოდა გამოყენებული; 9. ის ჯგუფები და პირები, რომლებიც არ შეასრულებდნენ მერვე პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას უნდა დაეპატიმრებინა; 10. მეხუთე მუხლის მეხუთე პუნქტის შესრულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას უნდა დაეწყო დაუყოვნებლივ და რაც შეიძლება მალე დაესრულებინა.

პ. ვრანგელი

ნ. იუდენიჩი

ხელშეკრულების **მეხუთე მუხლი** ეხებოდა მოხალისეთა არმიას, რომელიც გენერალ **პეტრე ვრანგელის** სარდლობით 1920 წლის გაზაფხულზე სამხრეთ რუსეთიდან მოსკოვისაკენ მოიწევდა. პეტრე ვრანგელის არმიის სამხედრო გემები საქართველოს მთავრობასთან საიდუმლო შეთანხმებით დროდადრო იყენებდნენ საქართველოს ნავსადგურებს საწვავის, სურსათისა და წყლის მარაგის შესავსებად. მოხალისეთა არმიის ზოგიერთი სამხედრო შენაერთი დროებით განლაგებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე. საბჭოთა რუსეთის დაზვერვას, ცხადია, ყოველივე ამის თაობაზე ცნობები ჰქონდა. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მეხუთე მუხლი რომ ძალზე მძიმე და დამამცირებელი იყო საქართველოსთვის, ამაზე დღეს არავინ დავობს, მაგრამ საქართველო იძულებული იყო მიეღო იგი. ჩვენ ზემოთ საბჭოთა რუსეთთან ესტონეთის, ლიტვის, ლატვიისა და ფინეთის მიერ 1920 წელს დადებული ხელშეკრულებები ვახსენეთ. რუსეთთან საომარი მოქმედებების შეწყვეტისა და დამოუკიდებლობის აღიარების სანაცვლოდ, ამ ქვეყნებს ბევრ დათმობაზე მოუწიათ წასვლა. ჯერ კიდევ რუსეთთან ხელშეკრულებების დადებამდე, 1919 წლის შემოდგომაზე, გენერალ **ნ. იუდენიჩის** არმიის პეტროგრადზე შეტევის დროს, მრავალგზისი თხოვნის მიუხედავად, საბჭოთა რუსეთის მხრიდან მომავალში მოსალოდნელი აგრესიის შიშით თავისი ანტირუსული განწყობილებით ცნობილმა ესტონეთის, ლიტვის, ლატვიისა და ფინეთის პოლიტიკურმა ლიდერებმა გენერალ ნ. იუდენიჩს სამხედრო დახმარებაზე უარი უთხრეს. გენერალ ნ. იუდენიჩის არმია დამარცხდა. ბოლშევიკური პეტროგრადი გადარჩა. 1920 წლის 2 თებერვლის ესტონეთ-რუსეთის ხელშეკრულების მეშვიდე მუხლი სიტყვა-სიტყვით ემთხვეოდა საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მეხუთე მუხლს. 1920 წლის 12 ივლისის ლიტვა-რუსეთის ხელშეკრულებაში თითქმის უცვლელად შევიდა საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების მეხუთე მუხლის რამდენიმე პარაგრაფი.

> იმ ვალდებულებების სანაცვლოდ, რომლებიც ხელშეკრულების მეხუთე მუხლის ძალით საქართველოს დაეკისრა, რუსეთი **მეექვსე მუხლით** ვალდებულებას იღებდა: რუსეთს თავის ტერიტორიაზე არ უნდა დაეშვა და არ უნდა გაეჩერებინა არცერთი ჯგუფი და ორგანიზაცია, რომელებიც თავს საქართველოს ან მისი ტერიტორიის ნაწილის მთავრობად აცხადებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელშეკრულების დადებამდე და დადების შემდეგაც რუსეთი თავის ტერიტორიაზე აჩერებდა, შეიარაღებითა და ფინანსებით ეხმარებოდა აფხაზ და ოს სეპარატისტებს, ქართველ ბოლშევიკებს.

ხელშეკრულების **მეათე მუხლი** უკვე აშკარად ხელყოფდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტს და საქართველოს აყენებდა მეტად მძიმე მდგომარეობაში. კერძოდ, მეათე მუხლი ასეთი შინაარსისა იყო: საქართველო ვალდებულებას იღებდა, სასჯელისაგან, სასამართლო ან ადმინისტრაციული დევნისაგან გაეთავისუფლებინა ყველა პირი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ საქმიანობისთვის იდევნებოდა. მეათე მუხლს ჰქონდა შენიშვნა: საქართველო ვალდებული იყო, ზემოთხსენებული საქმიანობისთვის მსჯავრდებული ყველა პირი დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა.

ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში (სამართალწარმოებაში!) ჩარევის უფლება მიიღო.

ხელშეკრულების **მეთოთხმეტე მუხლის** ძალით, საქართველოსა და რუსეთს შორის უმოკლეს ვადაში უნდა დამყარებულიყო დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობა.

ხელშეკრულების **მეთხუთმეტე მუხლი** ითვალისწინებდა ორმხრივი კომისიის შექმნას, რომლის კომპეტენციაში შევიდოდა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყოფილი რუსეთის იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების დაწესებულებების, სასამართლო და ადმინისტრაციული დაწესებულებების არქივების, ასევე სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რუსეთისთვის გადაცემა.

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, როგორც **მე-16 მუხლში** იყო აღნიშნული, ძალაში შედიოდა ხელმოწერის დღიდან და რატიფიკაციას არ საჭიროებდა.

1920 წლის 7 მაისსვე გრიგოლ ურატაძემ და ლევ კარახანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულების **საიდუმლო დამატებას,** რომელიც ორი მუხლისაგან შედგებოდა. საიდუმლო დამატების **პირველი მუხლი** ფეხქვეშ თელავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტს. **პირველი მუხლი** ასე იყო ჩამოყალიბებული: საქართველოს მთავრობა ვალდებულებას იღებდა, ეცნო ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი კომუნისტური ორგანიზაციების თავისუფალი არსებობისა და მოღვაწეობის უფლება, კერძოდ, კრებების თავისუფლად მოწყობისა და გამოცემის უფლება, მათ შორის პერიოდული გამოცემის უფლებაც. საქართველოს მთავრობას არ შეეძლო, ადმინისტრაციულ და სასამართლო პასუხისგებაში მიეცა პირი, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე კომუნისტური პროგრამის საჯარო პროპაგანდას ეწეოდა. სასამართლო და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ვერ მიეცემოდა ვერც ორგანიზაცია, რომლის მოღვაწეობაც კომუნისტურ პროგრამას ემყარებოდა. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა რუსეთის მეხუთე კოლონა ხელშეუხებლად ცხადდებოდა და მისი ძირგამომთხრელი საქმიანობა ვერ დაისჯებოდა. 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების საიდუმლო დამატებაც ხელმოწერის მომენტიდანვე შედიოდა ძალაში და რატიფიკაციას არ ექვემდებარებოდა.

1920 წლის 12 მაისს გრიგოლ ურატაძისა და ლევ კარახანის მიერ ხელმოწერილი **დამატებითი შეთანხმება** მიზნად ისახავდა საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დადგენას. დამატებითი შეთან-

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 60

ხმების **პირველ მუხლში** აღნიშნული იყო: სადავო ტერიტორიის სახელმწიფოებრივი კუთვნილების გარკვევის მიზნით რუსეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებისაგან უნდა შექმნილიყო სამთა კომისია, რომლის თავმჯდომარეც რუსეთის წარმომადგენელი იქნებოდა. ცხადია, შერეული კომისიის მუშაობის პერიოდში საბჭოთა რუსეთი საბჭოთა აზერბაიჯანს დაუჭერდა მხარს და სასაზღვრო ხაზიც აზერბაიჯანის სასარგებლოდ დადგინდებოდა. საბჭოთა რუსეთს რომ ასეთი სურვილი არ ჰქონოდა, მაშინ 1920 წლის 12 მაისს დამატებით შეთანხმებას ხელი არც მოეწერებოდა, რადგან ძირითადი ხელშეკრულების მეოთხე მუხლით ზაქათალის ოკრუგი (ჭარბელაქანი – საინგილო) საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ტერიტორიად ცნო და ამ საკითხის ხელახალი განხილვა საჭირო აღარ იყო. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს ის, რომ 12 მაისის დამატებითი შეთანხმება აზერბაიჯანის პროტესტის შემდეგ გაფორმდა.

ამრიგად, საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, 7 მაისის საიდუმლო დამატებითი და 12 მაისის დამატებითი შეთანხმებით არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად შეფასდეს. ხელშეკრულების შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ორი მომენტი:

პირველი. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე იურე ცნობა იყო უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენა და ხელს უწყობდა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებას;

მეორე. ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთს საშუალებას აძლევდა: საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ომის შემთხვევაში აქტიურად გამოეყენებინა მეხუთე კოლონა, რომლის ხელშეუხებლობის გარანტიას ხელშეკრულება იძლეოდა.

> საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დადებიდან ცხრა თვის შემდეგ (1921 წლის 11-12 თებერვლის ღამით) საბჭოთა რუსეთმა ომი დაიწყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და დაიპყრო იგი. ამ მოვლენით დავიწყებას არ მისცემია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება. 1921 წელს ემიგრაციაში წასული საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ძლიერი არგუმენტი, სხვა არგუმენტებთან ერთად, საქართველოს განთავისუფლებისთვის ბრძოლაში იყო ის, რომ საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო მის მიერვე დე იურე ცნობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ ბრძოლას შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ არა იმიტომ, რომ საქართველოს მთავრობას არგუმენტები არ გააჩნდა, არამედ იმიტომ, რომ საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ვითარება (საბჭოთა რუსეთის მიერ ურთიერთობის მოგვარება ინგლისთან, საფრანგეთთან, გერმანიასთან, ოსმალეთთან) ხელსაყრელი არ იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. გავიდა ათწლეულები. XX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში აზვირთებული ეროვნული მოძრაობა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლიანობას სხვა არგუმენტებთან ერთად ისევ ზემოთ ხსენებული არგუმენტით ასაბუთებდა: 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა, იმ ქვეყანამ, რომელმაც 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით დე იურე ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ მომავალ თაობებს დაუტოვა ძლიერი არგუმენტი სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის ბრძოლაში.

ვახტანგ გურული,
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.



უმძიმეს განსაცდელს გავუძელით!

კლასტერი კი არა - წყარო!

პანდემია ადრეც იყო. დიახ, კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე არაერთი უბედურება ახსოვს, რომელიც მთელს პლანეტაზე გადამდები სენის გავრცელებასთან იყო დაკავშირებული. ყველას გახსენება შორს წაგვიყვანს, ამიტომ დავასახელებ ერთს, 1918-1919 წლების გრიპის ეპიდემიას, რომელიც ესპანეთიდან გავრცელდა და „ისპანკა“-ს სახელით იყო ცნობილი. მაშინ ამ სენმა მსოფლიოს 500 მილიონამდე ადამიანი შეიპყრო, მათგან 20 მილიონი გარდაიცვალა.

მომსწრე ვარ იმ ადამიანებისა, ვინც გადარჩა, მათ შორის მედიკოსებისაც, ვინც მომსვრელ სნეულებაზე მოგვითხრობდნენ, კერძოდ იმაზე, რომ თითქმის არცერთ ქვეყანას არ გააჩნდა სენის გამოცნობის, მკურნალობის და თავიდან აცილების საშუალებები; უფრო მეტიც, არ არსებობდა ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის ისეთი სახეები, რომლებიც ექიმებს ხელს შეუწყობდა პაციენტებთან მისვლასა და დროულად მკურნალობის დაწყებაში.

წარსულის ამ საზარელი ამბების გახსენება დამჭირდა იმისთვის, რომ დღეს, ამ ძნელბედობის დროს, ყოველდღიურად მრავალი შეცდომა-შეუსაბამობის და ძრწოლის ფონზე, რომელიც თავისთავად არის სენის გავრცელების ერთ-ერთი ბიძგი, მოსახლეობა დაწყნარდეს, პირველ რიგში ყველამ უნდა იცოდეს, რომ სამყაროში ასეთი მოვლენები სხვადასხვა მასშტაბით იჩენს თავს, მაგრამ ადამიანის გონება და გენია ამარცხებს მას, თუმცა, არა მსხვერპლის გარეშე!

საქართველომ გადამდებ სნეულებებთან ბრძოლის გამოცდილება ძველთაგანვე შეიძინა, რაც განსაკუთრებით გამოჩნდა 1970 წელს ქოლერის პანდემიის დროს, როცა იგი მთელს საბჭოთა კავშირში მძვინვარებდა, მაგრამ დასნეულებულთა და გარდაცვლილთა რიცხვი მკაცრად იყო გასაიდუმლოებული.

მიუხედავად ასეთი ზეწოლისა, მთელ სსრკ-ს მაშინ პირველი სიგნალი საქართველომ მიაწოდა, როცა უზბეკეთიდან ბათუმში ჩამოსულ სტუდენტთაგან ერთ-ერთს დაუდგინდა ქოლერა. მართალია, მისი გადარჩენა მოულოდნელობის გამო ვერ მოხერხდა, 17-ს სენი შეეყარა, მაგრამ გარდაცვალება ამ ერთი შემთხვევით ამოიწურა.

არ შევუდგები ინფექციასთან ბრძოლაში აქტიურად ჩაბმული ექიმების გვარების ჩამოთვლას, მათი ნაწილი დღესაც ღირსეულად უმკლავდება საშიშ სნეულებას.

პირადად მე რამდენიმე **ეპიდემიის** (ტიფები, დიფტერია, ქუნთრუშა, დიზენტერია) და **პანდემიის** (ქოლერა) მომსწრე და მათთან ბრძოლის მონაწილე ვარ (უხერხულია საკუთარ თავზე დაწვრილებით საუბარი) და ჩემში დიდ გაკვირვებას იწვევს, როცა ასეთი სამედიცინო წარსულის მქონე ქვეყანას, ვახტანგ ბოჭორიშვილის სკოლას, იქ და სხვა კლინიკებში მომუშავე ეპიდემიოლოგებს სრულიად გაუთვითცნობიერებელი, უმაქნისი და ზერელე „მეცნიერნი“ რაღაც გამოგონილ უყურადღებობას, არაკვალიფიციურობას სწამებენ! უყურადღებობას სწამებენ იმ ადამიანებს, რომლებიც 24 საათი, საკუთარი ჯანმრთელობის და სიცოცხლის საფრთხის ხარჯზე ძალას არ ზოგავენ.

ჩემთვის გაუგებარია ამერიკაში მცხოვრები ექიმის, ვინმე გურულის დამუნათება, კორონავირუსის სამკურნალო პრეპარატზე, აგრეთვე ადგილობრივი პოლიტიკოსების ზედაპირული და უარყოფითი მსჯელობა ტესტირებაზე, მკურნალობის დაწყების ვადებზე, ეპიდემიოლოგიის რეჟიმზე და ა. შ., რომლითაც აკნინებენ გამოცდილი, ყოვლად სანდო და მაღალი დონის სპეციალისტების საქმიანობას, რომელთა გვარ-სახელი, დარწმუნებული ვარ, საპატიო ასოებით ჩაიწერება სამედიცინო აზროვნების განვითარების ისტორიაში. ისინი გადაეღობნენ მძიმე სენს ისე მედგრად, რომ მსოფლიოში ჩვენს ქვეყანას 49-ე ადგილი უკავია. სენის გავრცელების და გარდაცვლილთა სიმცირის მაჩვენებლით საქართველოს უსწრებს მხოლოდ 4 ჯუჯა ქვეყანა: ლიხტენშტეინი 38 000 მცხოვრებით, მონაკო – 32 000, ვატიკანი – 1 000 და მონტენეგრო – 600 ათასი მცხოვრებით. ოთხივეს მოსახლეობის რიცხვი და ტერიტორია მთლიანად საქართველოს ტერიტორიასა და მოსახლეობაზე ბევრად ნაკლებია!

რა გრჯით თქვენ, უვიცნო და ბოროტების მთესველნო, ჩაიკმინდეთ ხმა და ჩვენთვის, თქვენთვის თავდადებულ მკურნალებს თქვენი ყიამყრალობით ნუ დაუმატებთ ზედმეტ საფიქრალს მაშინ, როცა მათი ჭკუა-გონება მხოლოდ სნეულის გადარჩენაზე უნდა იყოს მიმართული.

მრავალი უგუნური გამონათქვამიდან ერთ ციტატას მოვიტან, რომელიც ჩვენს „ერთგულ დამცველს“ ნინო ლომჯარიას ეკუთვნის: „სამედიცინო ენაზე იესო ქრისტეს სიკვდილის უშუალო მიზეზად ასფიქსია სახელდება. დღეს ჩვენს რეანიმაციებში(?) ადამიანები იგუდებიან... არაფერი შეცვლილა, ფარისევლებმა ისევ გაიმეტეს დაუცველი ადამიანები ჯვარცმისთვის, ხოლო ხელისუფალმა ხელები დაიბანა“. ჟურნალისტმა გია გაბრიჭიძემ საკადრისი პასუხი გასცა და ეს შარახვეტია ქალი ათეისტს, იეღოველს, იაკუტელ შამანს შეადარა. დავამატებდი, რომ იგი ბოროტი სული, სატანა, ანტიქრისტეა, რომელსაც მიზნად დაუსახავს მის დასაცველ მრევლს თეთრი შავად მოაჩვენოს, ჩვენს თავდადებულ მკურნალებს ტალახი ესროლოს.

მე მრავალი ათეული წელია მედიცინასთან უშუალო კავშირი მაქვს და ხანგრძლივი პერიოდი სულ იმაზე ვზრუნავ, რაც შეიძლება ცოტა ადამიანი დასნეულდეს. ენა როგორ მომიბრუნდება, მტერსაც არ ვუსურვებ უნდომად ყოფნას, მაგრამ ამ უსინდისო ქალის ქცევამ ცხოვრებაში პირველად არაეთიკური, საძრახისი სურვილი გამიჩინა, რომ შეეყაროს პანდემიური სენი და ჩვენი ექიმების ხელში მოხვდეს, საკუთარი თვალით ხომ დაინახავს, ჩვენი რეანიმატოლოგები როგორ „გუდავენ“ პაციენტებს. მაშინ მისი მყრალი ენა მედიკოსებს ვეღარ შეადარებს იესო ქრისტეს მწამებელ ფარისევლებს.

ექიმების წარმატებას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერამ. ბნელი ძალები ბევრს ეცადნენ აღდგომის დღეებში შული ჩამოეგდოთ მთავრობასა და ეკლესიას შორის, მაგრამ მოვლენები პირიქით განვითარდა: ეს ორი უმაღლესი საერო და სასულიერო ინსტიტუცია ყველაფერზე შეთანხმდნენ. დედა-ეკლესიამ დაიცვა არამარტო ეპიდემიოლოგთა რეკომენდაციები, არამედ ბოლომდე ქრისტეს ერთგული დარჩა და ღირსეულად ჩაატარა საყოველთაოდ დიდი პატივის ღირსი დღესასწაული. მრევლმა თავისი წესრიგით და მისმა საჭეთმპყრობელმა თავისი გონიერებით გააოცეს უძველესი ერთმორწმუნენი: ბერძნები, ბრიტანელები, იტალიელები, ამერიკელები და მთელი საქრისტიანო სამყარო.

მივმართავ ჟურნალისტებსაც: თქვენ დიდ როლს ასრულებთ ადამიანთა ცნობიერებაში საშიშ სენთან ბრძოლის მარტივი წესების გასაგებად, ხელმისაწვდომად გავრცელებაში, რისთვისაც ჩვენს მადლიერებას იმსახურებთ, თუმცა, ზოგჯერ ხმამაღალი, შემაძრწუნებელი ხმით აძლიერებთ ხალხში ისედაც გამეფებულ შიშს და უიმედობას.

აბა, როგორი მოსასმენია ყოველდღე, თითქმის ყოველ ნახევარ საათში, სასოწარკვეთილი შეძახილი – „ბოლნისი და მარნეული კარანტინშია მოქცეული“, რაც მსმენელ-მაყურებლისთვის კარგადაა ცნობილი და საკმარისია მხოლოდ ამ რაიონების დასახელება.

„დაიღუპა“ ამდენი, „გამოჯანმრთელდა“ ამდენი, „ფარცხანაყანევის კლასტერი“ და ა. შ. დაღუპვა ძალადობით, კატასტროფით, ექიმთა უყურადღებობით სიცოცხლის შეწყვეტას გულისხმობს, ე.ი. კრიმინალია, ხოლო ჩვენთან, გარდაცვალების ყველა შემთხვევა მათივე ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობამ განაპირობა და დარწმუნებული ვარ, ერთსადაიმავე პაციენტში მძიმე სნეულებათა თავმოყრა კორონავირუსის გარეშეც მალე შეიწირავდა მათ სიცოცხლეს (გარდაიცვლებოდნენ და არა დაიღუპებოდნენ).

რაც შეეხება გამოჯანმრთელებას (ეს ექიმებსაც ეხებათ), ასეთი კარგზე კარგი სიტყვა მართლაც არსებობს ქართულ მეტყველებაში, მაგრამ მას მხოლოდ სამეცნიერო წრეებში თუ გაიგონებთ. ხომ არ აჯობებს უფრო მარტივი და სასიამოვნოდ მოსასმენი სიტყვა „განკურნებაც“ გამოვიყენოთ?!

> **ჩვენი მეტყველება ბოლო დროს ისედაც გადატვირთულია აუცილებლად სახმარი უცხო სიტყვებით, ამიტომ მათგან თავი უნდა შევიკავოთ, მით უმეტეს მაშინ, როცა გვაძვს ძართულად შესატყვისი და კეთილად მჟღერი სიტყვა. მხედველობაში მაძვს ახლად შემოსული „კლასტერი“, რომელიც „წყაროს“ ნიშნავს და გაუგებარია, რატომ ვამბობთ „ფარცხანაყანევის კლასტერს“ და არა „ფარცხანაყანევის წყაროს“.**

მოსაბეზრებელი გახდა ტელეჟურნალისტებისგან სიტყვა „ეგრეთნოდებულის“ გაგონებაც. რატომაა ეგრეთწოდებული ცხელების ცენტრი, დახლი, მიმღები, კომენდანტის საათი, კარანტინი და ა.შ.

მიმაჩნია, რომ ეს ტერმინი ზოგჯერ აფხაზეთთან მიმართებაშიც ზედმეტია და ყურს ჭრის. კი ბატონო, იგი შეესაბამება მთავრობას, პრეზიდენტს, მინისტრებს და ა. შ. მაგრამ მარნეულში თუ კარანტინია, რატომაა ფსოუს კარანტინი ეგრეთწოდებული?

ეს ისე, სხვათაშორის. თუმცა, ისტორიისთვის, დიდებული ქართული ენისთვის თითქოსდა „მეორეხარისხოვან“ საკითხებსაც ყოველთვის უნდა მიექცეს საჭირო ყურადღება.

საშიშ სენთან ბრძოლაში მთავარი საქმეა კარანტინების და სხვა შეზღუდვების დროულად დაწესება. საქართველოს მთავრობამ, ჯანმრთელობის და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა კარგად გათვლილი და მოაზრებული შეზღუდვები შემოიღეს. ეტაპობრივად მათი მოხსნის ჯერიც დადგა. დარწმუნებული ვარ, ახლაც დაცული იქნება თანმიმდევრობა.

ჩემი აზრით, პირველ რიგში აუცილებელია გავხსნათ ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, რკინა-კავეულის, სამრეწველო მაღაზიები, რადგანაც მათი საქონელი ეპიდემიოლოგიურ საფრთხეს ნაკლებად ქმნიან, მთელი დღის განმავლობაში ტანსაცმლის და ფეხსაცმლის მაღაზიებს ისედაც თითო-ოროლა კლიენტი თუ ესტუმრება.

> **უმძიმეს განსაცდელს, რომელმაც უნდა შეცვალოს გონიერი ადამიანის აზროვნება და ცხოვრების წესი, გადავურჩებით და სწორედ ახლა მთავარია შევასრულოთ ყველა რჩევა-დარიგება, რაც თავიდან აგვაცილებს საშიში ინფექციის შეყრას. ხატოვანი ფრაზა „ყველა ერთისთვის და ერთი ყველასთვის“ ზედგამოჭრილია დღევანდელი ვითარების დროს.**
>
> **ჩვენი ხელისუფლების, მედიკოსების, პოლიციელების, სამხედროების მწყობრი და დაუღალავი გარჯის შედეგად მთავარი სიძნელე თითქმის გადავლახეთ, ცოტა დაგვრჩა და უფლის ნებით მალე ჩავდგებით ჩვეული ცხოვრების ფერხულში.**

რამაზ სურმანიძე,
ბათუმი

თითქოს ილია გვეჩურჩულებოდეს

როსტომ ჩხეიძის „მუხა უდაბნოში“

როდესაც გადმომცეს როსტომ ჩხეიძის ეს ახალი ბიოგრაფიული რომანი, ამჯერად ილია ჭავჭავაძეზე: „მუხა უდაბნოში“, თან, დიდი სიხარული მოიყოლა. აქამდისაც ხომ გული მიძგერდა, ახლა სულ სხვაა ეს გულისძგერა. სიხარული – არა საზეიმო, სადაფნაღარო, უფრო – ჩუმი, ჩუმი კი არა – მშვიდი, მტკიცე. ნეტა თუ შეეფერება სიხარულს ეპითეტად მტკიცე? მაგრამ იყოს, რაც არის.



ყვითელი, უდაბნოსფერი ყდა (გია არაბულის მიერ დიდი ხელოვნებით შესრულებული), უდაბურობის, განწირულობის, უსიცოცხლობის შეგრძნება და ამ უდაბნოში მწვანედ, სიცოცხლის ფერად გაბარჯღული ძლიერი ხე, მუხა – ილიას სილუეტით, ოაზისის სუნთქვა...

მაკა ჯოხაძის წიგნის „ფიჭვები უდაბნოში“ ყდაც ყვითელია მწვანე წარწერით. არ არის შემთხვევითი მსგავსება. ის ფიჭვები ამ ძლიერი მუხის ამონაყარნი არიან. აკი აქცია ილიამ თავის გარშემო მთელი ბუჩქნარი მუხნარად, მიხეილ ჯავახიშვილის ამ შესანიშნავი მეტაფორული მიგნებისა არ იყოს.

თითქოს ყველაფერი ვიცი, რაც ამ წიგნში უნდა ეწეროს, თუმცა, ცხადია, ისიც მომეხსენება, რომ არაფერიც არ ვიცი.

მშიერივით მივვარდი (სხვა მწყურვალივით დავეწაფეო, იტყოდა). ჯერ მხოლოდ ერთი თავი წავიკითხე. რა დროს გამოხმაურებააო, იტყვით და მართალიც იქნებით, მაგრამ ერთი ყლუპი ხომ ვიგემე და აი, რა დადნა იმ ყლუპისგან. ისეთი წიგნია, სრული სიმყუდროვეში რომ უნდა გაუყუჩდე, გულისყური გაუხსნა და ცხადად გაიგონებ, როგორ გეჩურჩულება ილია – უფრო ახლობლური, უფრო ამაღელვებელი და სანეტარო რა უნდა იყოს?! მაღლიდანაც (ცის იქით რომ ცაა) უთუოდ გაიგონებ და შეიგრძნობ რაღაც მისტიკურსაც და მეტისმეტად რეალურ-მიწიერსაც.

როგორ მინდოდა, რომ უხვ და ფუჭსიტყვაობა ამერიდებინა თავიდან! საერთოდაც, დუმილით შეიძლებოდა ყველაფრის გამოხატვა, მაგრამ აბა ჩემი არასრულყოფილება როგორ მომცემს გაჩუმების უფლებას?!

მკითხველისადმი მიმართვაში, სულ ორიოდე გვერდზე ცხადად მოგვევლინება განკაცებული მაცხოვარი. ეს ორიოდე გვერდი იტევს ბეთლემსაც და გოლგოთასაც. რეტროსპექტული ხედვა გვიჩვენებს ქრისტეს გზის უშუალოდ გამმეორებლის, ილია ჭავჭავაძის სახეგასაც და იმდროინდელი (ქრისტესდროინდელი) და კიდევ იმდროინდელი (ილიასდროინდელი) და ამდროინდელი (ჩვენი თანამედროვე) საზოგადოების მეტყველ სურათსაც. ნეტა იმ ბრწყინვალე ნოველას რომ წერდა – „სარჩობელაზედ“ – ილიას ქრისტეს ხატებაც უცოცხლდებოდა თვალწინ?

პირველი კარის („აჩრდილი გაირონისა“) პირველ თავში ილიას შინაურ გარემოში, ახლოდან, „ხალათში“ ვეცნობით. როგორია? – ღმერთი ასე ახლოა ჩვენთან, ჩვენიანია, ჩვენგანია. ხაზგასმულია ილიას მეფობა. შინაც? შინაურობაშიც? – რატომაც არა. მეფე შინაც მეფეა და გარეთაც – საზოგადოებრივ სარბილზეც – ბატონიც, პატრონიც, შემქმნელიც, გზის მაჩვენებელიც და თავისივე სისხლით დამმოწმებელიც.

ბიოგრაფიული რომანის დაწყება იმ ეპიზოდით, ილია ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი რომ შეხვდებიან ერთმანეთს მლეთის აღმართზე, ბიოგრაფოსის მიგნებაა. ეს შეხვედრა მიმავლისა და მომავლის შეყრის თავისებური სიმბოლოცაა და მათი ერთიანობისაც. თავიდანვე რომ აუჯანყდა ილია სამშობლოში არსებულ სინამდვილეს, მკვეთრად დაუპირისპირდა მამებს, ძველებს, მათთანაც გრძნობდა განუყრელ კავშირს, ერთობას, რაც დღევანდელი გადმოსახედიდან აშკარად და ნათლად ჩანს.

ახ, ნეტავი შენო, – შენატროდა მეურმე მხედარს.

ახ, ნეტავი, შენო, – შენატროდა ილია თერგს.

ამ ორ ამონაკვნესს შორის მსგავსება მწერალ-მკვლევარის აღმოსაჩენია. ახლა, ასე გვერდიგვერდ დალაგებულის იგივეობას მკითხველიც იოლად აღიქვამს.

მყინვარს გოეთეს რომ უიგივებდა ილია ჭავჭავაძე, ეს ქრესტომათიული დებულებაა, მაგრამ სიღრმისეულ წვდომას, სტრიქონებს შორის ნაგულისხმევის ამოკითხვას საჭიროებს იმის მიხვედრა, რომ მყინვარს გრიგოლ ორბელიანთანაც აიგივებდა ახალგაზრდა ილია.

ბუნებრივია, ალექსანდრე ორბელიანსაც ახსენებს რომანის ავტორი და მის სასიკეთო გავლენას არამარტო ილიაზე, არამედ მთელ თაობაზე. გაირონის სახელის ჩრდილში ნიკოლოზ გარათაშვილი ხომ არ მიიკარგა-მეთქი, აქვე, დასაწყისშივე, თორემ... მაგრამ, ცხადია, არა. სხვა რომ არაფერი იყოს, ახალი იდეოლოგიის დამამკვიდრებელი „საქართველოს მოამგე“ ხომ ნიკოლოზ გარათაშვილის ლექსით იხსნება. ამ პირველივე თავმა გარათაშვილიც დაიტია, რუსთაველიც – ძველებიცა და ახლებიც. ფრანგი ჟურნალისტის, ჟერარდენის უაღრესად საინტერესო სტილურ მანერასაც გავეცნობით იონა მეუნარგიას (არა, როსტომ ჩხეიძის) წყალობით.

ერთი იონა მეუნარგია რუსთაველსაც ჰყოლოდა გვერდითო! – ნატრობს მწერალი და მკითხველი თავის ნატვრასაც ააყოლებს – ეჰ, ერთი იონა მეუნარგია მოგვცა დღესაც! მერე სანანებლად არ გაგვიხდეს ერთმანეთზე უკეთესი ეპიზოდების დავიწყება-დაკარგვა.

განდეგილის პორტრეტი რომ მოისაკლისა იონა მეუნარგიამ ილიას პოემაში „განდეგილი“, ეს მის ლიტერატურულ გემოვნებაზე მეტყველებს, მაგრამ რა საგულისხმოა ილიას ფსიქოლოგიური პორტრეტისთვის, მაშინვე რომ მიიღო შენიშვნა და ბრწყინვალე სტრიქონებიც შექმნა...

უფალოს ნაცვლად ბატონოთი მიმართვაც ილიას შემოღებულ-დამკვიდრებულია. ფულის მეფურად გაცემა-ფლანგვაც მეფურად იცოდა და გულის სისხლისაც.

ხუმრობა, იუმორი ლამაზ შტრიხად შემოდის მის დრამატულ ცხოვრებაში. რა დამაჯერებლად გვიხსნის, არა, ქართველ კაცს რატომ არ ეჭაშნიკება თერგდალეულები.

ცალკე აღსანიშნავია ეპიგრაფების შერჩევის კულტურა, სათაურთა პოეტიკა...

ეს ჯერ მხოლოდ ერთი თავი და როგორი უნდა იყოს მთელი რომანის წაკითხვა! ჰოდა, ვისაც წიგნი ჯერ არა გაქვთ, „მაშ, მოკვდით, ბზზზ...“ (ხომ გახსოვთ გარათაშვილი, მიხეილ თუმანიშვილს წინასწარ რომ ახარბებს წყნეთში გატარებულ მომავალ დღეებს. ახლა, აქ უბარათაშვილობა იქნებოდა?!).

ნინო ვახანია,
სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი.

აპოკრიფული მამული

„ჩემი საგვარეულო შტოს“ წაკითხვის შემდეგ

როსტომ ჩხეიძესთან მეგობრობისა და, მრავალი მიზეზით, გაუნელებელი მადლიერების გამოც, მის ნებისმიერ ახალ ტექსტს, მართლაც ვარსკვლავებივით რომ მრავლობენ, უსიტყვოდაც გამოვეხმაურებოდი: გული მაინც შემიტოკდებოდა!

საჯაროდ სიტყვის თქმის საშუალება პასუხისმგებლობას ერთი-ორად ზრდის და სარისკოდ აქცევს. ვნახოთ, რა გამოვა!

კაცმა რომ თქვას, ჩვენ წინაშე რეცენზიაა თამაზ ლაცაბიძის მრავალტომეულის – „ისტორიული საგვარეულოები ხაშურის რაიონში“ მეორე წიგნზე – „ქართლის ჩხეიძეები“.

ნებისმიერი „რეცენზია“, ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობით – პროდუქციის ხელმეორედ შეფასებას, უფრო ზუსტად კი, „ფასის დადებას“ გულისხმობდა, რაც, თავის მხრივ, ნორმატიულ პარამეტრთა მოხმობასა და მათი შესაბამისობის დადგენის „ბუღალტერიას“ მოიყოლებდა ხოლმე. კვაზიაკადემიური წრის ნეიტრალიტეტი თუ სხვათა დასანახი ფარისევლობა სანიმუშო რეცენზიათა ისეთ გულსაკლავ, უღიმღამო, უინტერესო და ბერწ სერიას ტირაჟირებდა, მთავარი სათქმელის, უპერფორმანსო ძირის-ძირის ამოკითხვამდე ძალა აღარ შეგრჩებოდა და, წესისამებრ, „რეცენზიაც“ ოდენ წესკანონის დაცვისა და საყველპურო გადათვალიერების „მსხვერპლის“ სტატუსს სჯერდებოდა. ალბათ, ამიტომ ვერ იტანდა ერთი შეშლილი გერმანელი ნებისმიერ „სისტემურობას“!

როსტომ ჩხეიძე უნდა იყო, „რეცენზია“ წიგნად აქციო! რაღა წიგნად – გამოკვლევად, რომლის ქრონოლოგიური სამანიცა და ინტელექტუალური თეზაურუსიც შუა საუკუნეებში განიხვნებოდა და აქ და ახლა, ჩვენს დროში, დაიხშობოდა!

ჩასაფრებული მავანი იტყვის, მის საგვარეულოზე წერია და აგრერიგად იმიტომაც გაისარჯაო.

ასეა. და არც არის ასე.

ასე იმიტომ არ არის, რომ პირველად თამაზ ლაცაბიძე გაისარჯა: ქართლელ ჩხეიძეთა არქეტიპები და მათი დასავლურქართული ძირები მოიძია და დაასაბუთა, არგვეთისა და რაჭის ერისთავობა, ქართლისა და იმერეთის მეფეებთან სისხლით ნათესაობა და თანამდგომლობა დაუსაკუთრა, სეხნია ჩხეიძის – მე-18 ს. ქართველი ისტორიკოსისა და მოხელის – პიროვნება, როლი და თხზულება გააფასა, და ა.შ.

ასე იმიტომაა, რომ როსტომ ჩხეიძის გარჯა სიხარულია – იმის სიხარული, რომ რასაც აქამდე ინტუიციით გრძნობდა, ფაქტობრივ დადასტურდა, ან იმის სიხარული, რომ რაც თვითონ იცოდა, სხვამაც გაიგო. კაცმა რომ თქვას, ყველა ახალი წიგნის წაკითხვაც მწერლის სიხარულის გაზიარება მგონია. მე დღეს როსტომის სიხარულს ვიზიარებ.

გვარის გაჩენა შუასაუკუნეობრივ ევროპაში კეთილდღეობას, ეკონომიკური ქსელის გაფართოებასა და მემკვიდრეობის მიღების ნანატრ პერსპექტივას უკავშირდებოდა. ამიტომაც „დაგვარიანების“ გადამდები პროცესი ჩრდილო იტალიის სწორედ მდიდარ რეგიონებში დაიწყო X-XI სს. ცხადია, საგვარეულოები ოდითგანვე არსებობდა, მაგრამ იმის დასადასტურებლად, რომ ისეთი დიდგვაროვანი იყავი, რომ, ვთქვათ, სარაინდო ორდენში შეგესვლებოდა, საგვარტომო ხის შექმნაც აუცილებელი შეიქნა. გვარის ფუძე, წესისამებრ, საკუთარ სახელს, ტოპოსს, საქმიანობას, და ა.შ. გამოხატავდა.

ყველა ტრადიციული იაპონური გვარი კომპოზიტია და მომდევნო სიტყვა, ძირითადად, „ბრინჯის ყანაა“.

სკანდინავიაში მამის სახელს „ძე“ დაემატებოდა, და გვარიც მზად იყო!

ამ მოდელის თანახმად, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო სივრცეში „როსტომი“ მხოლოდ „ოთარის ძედ“ რომ მოგეხსენებინა, ყველა მიხვდებოდა, რომ სწორედ „ჩხეიძე“ იგულისხმებოდა. მაგრამ როსტომის წიგნმა ის გვითხრა, რომ, რაც იგულისხმება, ყოველთვის თავისთავად საგულისხმელი როდია!

როსტომ ჩხეიძის წიგნი იმისკენ გაგულიანებს, შენი გვარის აღბეჭდვას ეცადო და, შეძლებისდაგვარად, მიაღწიო უფართოეს ისტორიულ ტილოზე; იმის პასუხისმგებლობა იკისრო, მომავალი თაობები უწარსულობისთვის არ გაწირო და, ბარემ ბოლომდე ითქვას, თვითკმაყოფილების ჭინკაც გაახარო!

პირველი თავის სათაური მახსენდება – „ჩხეიძეების ყელქცეულურ-იოკნაპატოფური სახლი“. რამდენიც უნდა იძახოს მავანმა, უილიამ ფოლკნერიც ვიცი და ოთარ ჩხეიძეც წამიკითხავსო, ამ წინადადების უხინჯოდ გამოთქმა მაინც ჭირს! თუმცა საქმე ეს როდია:

იოკნაპატოფა, მკვიდრ ამერიკელთა ერთ-ერთ ენაზე (მგონი, ჩიკასაუ) თითქოს „გახლეჩილ მიწას“ ნიშნავს. ფოლკნერი თავისი შემოქმედების ძირითადი ტოპოსის, ასე ვთქვათ, თავისი „აპოკრიფული მამულის,“ სახელწოდების განმარტებად ლამის გალექსილ სტრიქონს ამკვიდრებდა: „დაბლობის გასწვრივ წყალი მდორედ მიედინება!“

ესეც თქვენ – თითქოსდა უწყინარი პარალელი: იქ მისტიფიცირებული ფალკნერი (ფოლკნერის ნამდვილი გვარი) და არანაკლებ მისტიფიცირებული – იოკნაპატოფა, აქ – რეალური ყელქცეული და არანაკლებ რეალური ოთარ ჩხეიძე! ოღონდ, ორივეგან – უშეღავათოდ ნამდვილი შემოქმედება!

დაბოლოს: გვარის ხსენებაზე უნებლიეთ ამეკვიატება ხოლმე ხევისმერგოჩასეული შეგონება: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!“ თუმცა ყველაფერი ისე აირია, ეს ფრაზაც ნაყალბევმა პათეტიკამ შთანთქა, და მეც არაერთხელ მიცდია საკუთარი ფსიქიკის მართვა ანუ ამ პათეტიკისგან ისე გაქცევა, თითქოს უგვარო ვყოფილიყავი!

დღეს – „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!“ – კვლავ უკითხავად მოვიდა, და ვინ იცის, მერამდენედ მივხვდი, მაგრამ პირველად ვამბობ, რომ იდენტობა მხოლოდ ფიზიოლოგიური სითხეებით არ დასტურდება. და ეს ფრაზაც უმალ ღირებულებებს გულისხმობს, თუნდაც – ძარღვებში მოთქრიალეთ. მოკლედ, „იმ გორისა ხარ“, რა საქმესაც და რა გულითაც ემსახურები.

როსტომ ჩხეიძემ კითხვას, თუ „ვისი გორისაა“, ისტორიას აპასუხებინა, თვითონ კი ის ცხადყო, როგორ აცოცხლებს ისტორიას და როგორ ხდება ჩვენ თვალწინ მისი ნაწილი.

გია ჯოხაძე,
ილიას უნივერსიტეტის
პროფესორი.

◎ ჭიდაობა

ყველაფერი – ძველებურად



ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანებამ (UWW) გადავადებული ტოკიოს ოლიმპიური თამაშების კონტინენტურ შესარჩევ ასპარეზობათა მასპინძლებად უნგრეთი, მაროკო და ჩინეთი დატოვა.

დღესდღეობით, მომავალი ფორუმისთვის საგზურების ნახევარია გაცემული: თითოეულ წონაში 6 ლიცენზია შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატებზე გათამაშდა, ხოლო 2- პანამერიკულ საკვალიფიკაციო ტურნირებზე.

გაისად მარტში დაგეგმილ აფრიკა-ოკეანეთის გაერთიანებულ საკვალიფიკაციო ტურნირს მაროკოს ელ-ჯადიდა უმასპინძლებს, ბუდაპეშტში ევროპის კონტინენტის საგზურები გათამაშდება, აზიის კონტინენტურ საკვალიფიკაციოს კი ჩინეთის სიანი მიიღებს, როგორც ეს თავიდანვე იყო კალენდარში ჩანიშნული.

აღსანიშნავია, რომ თებერვალში შესარჩევი შეჯიბრების სიანიდან ბიშკეკში გადატანა გადაწყდა, მაგრამ კოვიდ-19-ის პანდემიაში გადაზრდის გამო საკვალიფიკაციო ტურნირი უზბეკეთშიც გაუქმდა, ახლა კი ოლიმპიური თამაშების გადავადების შემდეგ პირვანდელ მასპინძელს დაუბრუნდა.

კონტინენტური ასპარეზობების შემდეგ აპრილში ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მსოფლიოს საკვალიფიკაციო ასპარეზობა გაიმართება, სადაც ტოკიოს თამაშების დარჩენილი საგზურები გათამაშდება, ამ შემთხვევაში – თითოეულ წონაში 2-2 საგზური.

UWW-ის ცნობით, ძირითადი წესები და პრინციპები იგივე დარჩა. ერთადერთი ცვლილება მოჭიდავის ასაკს უკავშირდება. კერძოდ, ათლეტს, რომელიც 2021 წელს 18 წლის გახდება საკვალიფიკაციო ტურნირებში და ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლის უფლება მიეცემა.

როგორც UWW იუწყება, ჭიდაობაში ტოკიო-2020-ის საკვალიფიკაციო სისტემას მხარს უჭერს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) აღმასრულებელი საბჭო.

შეგახსენებთ, რომ 2019 წლის სექტემბერში ნურსულთანში (ყაზახეთი) გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ოლიმპიურ ლიცენზიას 4 ქართველი ფალავანი დაეუფლა: ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში – **გიორგი მელია** (97 კგ) და **იაკობ ქაჯაია** (130 კგ); თავისუფალ ჭიდაობაში – **ელიზბარ ოდიკაძე** (97 კგ) და **გენო პეტრიაშვილი** (125 კგ).

კობა კობახიძე

◎ ფორუმი

ამჯერად – სერბეთში

სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციამ (AIBA) ოფიციალურად გამოაცხადა ბელგრადში 2021 წლის კაცთა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების შესახებ.

„დარწმუნებული ვარ, მთელი ქვეყანა სიამაყით მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატს. სერბეთს ყველაფერი აქვს დიდი ღონისძიებების მოსაწყობად. ეს არის მნიშვნელოვანი გადადგმული ნაბიჯი ჩვენი ახალი საშეჯიბრო სისტემისკენ, ასევე ჩვენი ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობისკენ, რომელიც სულ უფრო ნაკლებად იქნება დამოკიდებული IOC-ის სახსრებზე. AIBA-ს აღმასრულებელი კომიტეტი მასპინძელ ქვეყანასთან მსოფლიო ჩემპიონატის შესაძლო თარიღებს განიხილავს. ვფიქრობ, რომ დაგეგმილ ვადებს შევინარჩუნებთ და 2021 წელს, ოლიმპიური თამაშების შემდეგ ჩავატარებთ მსოფლიოს ჩემპიონატს. ეს იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით ვითარება დალაგდება“, – განაცხადა AIBA-ს პრეზიდენტის

მოვალეობის შემსრულებელმა მოჰამედ მუსტასანმა.

შეგახსენებთ, რომ შარშან საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (IOC) AIBA-სთან თანამშრომლობა შეაჩერა. IOC უკმაყოფილო იყო AIBA-ს მმართველობით, მსაჯების არაობიექტურობით, ფინანსური, ანტისადოპინგო თუ ეთიკის საკითხებით. IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, ოლიმპიური და საკვალიფიკაციო ტურნირების ორგანიზება სპეციალურ კომისიას დაევალა, რომელმაც რამდენიმე შესარჩევი შეჯიბრება უკვე ჩაატარა. საქართველოს მოკრივეთაგან ტოკიოს ოლიმპიური თამაშების საგზური ჯერჯერობით სახილ ალახვერდოვს აქვს მოპოვებული.

ბეჟან დოლიძე

საფეხბურთო ამოგანიკა

ვატო არველაძემ საფეხბურთო კლუბი „კორონა“ დატოვა. ამის შესახებ ინფორმაცია პოლონური გუნდის ვებ-გვერდმა ოფიციალურად გაავრცელა.

„კონტრაქტი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყდა. მადლობას ვუხდით მას ჩვენს გუნდში გაწეული სამსახურისთვის და მომავალ კარიერაში წარმატებებს ვუსურვებთ“, – ნათქვამია განცხადებაში.

ვატო არველაძე პლოცკელთა ღირსებას 2018 წლიდან იცავდა და 28 შეხვედრაში 7 გოლი გაიტანა, კონტრაქტი კი მიმდინარე წლის ზაფხულამდე აკავშირებდა. სად გააგრძელებს კარიერას ქართველი შემტევი, ამ ეტაპზე უცნობია.

* * *

ყატარული „ალ-სადის“ მთავარმა მწვრთნელმა და ესპანური ფეხბურთის ლეგენდამ ჩავიმ სამუელ ეტო'ოსთან ინსტაგრამში ისაუბრა.

ჩავიმ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „ბარსელონაში“ დაბრუნება და მისი მწვრთნელობა ძალიან უნდა და ერთ დღეს ამას გააკეთებს კიდეც. ჩავიმ ისიც არ უარყო, რომ იანვარში „ბლაუგრანადან“ წინადადება ჰქონდა, მაგრამ ჯერ შესაფერისი მომენტი არ იყო. გარდა ამისა, ესპანელმა ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელა – ლიონელ მესი.

„ჩემი ფილოსოფია ყოველთვის შეტევაა. ფეხბურთის კონცეფცია შოუა. იანვარში მქონდა კონტაქტი ერიკ აბიდალთან და ძალიან მნიშვნელოვანი წინადადება გახლდათ, მაგრამ შესაფერისი დრო არ იყო. ცოტა მეტი გამოცდილება მჭირდება. „ბარსელონას“ მწვრთნელობა ჩემი ოცნებაა და ერთ დღეს ამას ავიხდენ.

მესი? მისი გუნდში ყოლა უპირატესობაა. ვფიქრობ, რომ ლეოს 5-6 წელი მაღალ დონეზე თამაში კიდევ შეუძლია. საკუთარ სხეულზე კარგად ზრუნავს და ჩემი აზრით, 37-38-39 წლამდე ითამაშებს. დარწმუნებული ვარ, რომ ყატარის მსოფლიო ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. ის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია.

ნეიმარი? საფეხბურთო თვალსაზრისით უდავოა, რომ მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეებშია. მას შეუძლია მატჩის სცენარის შეცვლა. ვიმედოვნებ, „ბარსელონაში“ დაბრუნდება. დადებითი თვისებები აქვს და მისი დაბრუნება გუნდს ხარისხს შემატებდა. ეს იქნებოდა არაჩვეულებრივი შენაძენი.

მანეს და ობამეიანგს სივრცეში მეტოქის მოკვლა შეუძლიათ, მაგრამ „ბარსელონას“ სჭირდება მოთამაშეები, რომლებიც მოკლე მონაკვეთში ითამაშებენ. ადვილი არ არის ასეთის პოვნა ეტო'ო იყო ამ მხრივ სრულყოფილი, ისევე, როგორც სუარესია“, – თქვა ჩავიმ.

* * *

იტალიური „ბრეშას“ პრეზიდენტი მასიმო ჩელინო განრისხებულია და სეზონის განახლების წინააღმდეგია. ჩელინოს განცხადებით, ეს აღარ არის მისი ფეხბურთი და არც აინტერესებს, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ.

მან იტალიის ფეხბურთისა და სპორტის მმართველებს სამარცხვინოები უწოდა, რადგან ისინი გერმანიიდან ანგელა მერკელისა და უეფას გადაწყვეტილებას ელოდებიან.

„არ მაინტერესებს, დავუბრუნდებით თუ არა თამაშს. ისინი იმას აკეთებენ, რაც უნდათ. ჩემი განცხადებები ღია და ნათელია. ანგელა მერკელის გადაწყვეტილებას ველოდებით? სირცხვილია! ჩვენ გვყავს ლიგის პრეზიდენტი, ფედერაციის პრეზიდენტი, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, სპორტის მინისტრი და ამ დროს სხვებს ველოდებით? არ მაინტერესებს, რას იზამენ მერკელი და უეფა! იტალიამ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად უნდა მიიღოს. ჩვენ ღირსების გარეშე ვართ.

ეს აღარ არის ჩემი ფეხბურთი, ეს ფეხბურთია მომავლის გარეშე. იტალიაში საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტობა შეუძლებელი გახდა“, – თქვა ჩელინომ.

აქვე გეტყვით, რომ „ბრეშა“ გასავარდნ ზონაში თითქმის უიმედოდ იმყოფება და არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ჩელინო სეზონის ჩაშლას იმ იმედით ითხოვს, რომ მისი გუნდი სერია A-ში ადგილს შეინარჩუნებს.

* * *

ესპანური „ვალენსიას“ ნახევარმცველი დანიელ ვასი მიიჩნევს, რომ „ატალანტა“ – „ვალენსიას“ მატჩმა კორონავირუსის გავრცელებას შეუწყო ხელი. მისი აზრით, უეფამ დიდი შეცდომა დაუშვა, რომ ეს თამაში ჩაატარა.

„ატალანტასთან“ შეხვედრამ საშინელი შედეგები მოიტანა. ბევრ ჩვენგანს კორონავირუსთან კონტაქტი ჰქონდა და რამდენიმე ადამიანმა ის ესპანეთში შემოიტანა. დარწმუნებული ვარ, რომ 40 ათასი „ტიფოზი“, რომლებიც ერთმანეთს ეხუტებოდნენ და ერთმანეთისგან სანტიმეტრებით იყვნენ დაშორებულნი, ეს იყო ვირუსის გავრცელების დამაჩქარებელი. ახლა ჩვენ ომში ვიმყოფებით. როდესაც ეს დასრულდება, ვნახავთ, 40 ათასი ქომაგიდან რამდენი იყო დაინფიცირებული, თუმცა, ახლა სხვა პრიორიტეტები გვაქვს“, – თქვა ვასმა.

შეგახსენებთ, რომ „ატალანტა“ – „ვალენსიას“ მატჩი 19 თებერვალს მილანში ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ჩატარდა და მასპინძლებმა 4:1 მოიგეს.

გიორგი ზოთაძე

◎ ცისფერ ბილიკებზე

ახალი თარიღი

საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაციამ (FINA) ფუკუოკას (იაპონია) მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების ახალი თარიღი განსაზღვრა.

თავდაპირველი ვადებით, მსოფლიოს ჩემპიონატი 2021 წლის 16 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით უნდა გამართულიყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (IOC) კორონავირუსის პანდემიის გამო ტოკიოს ოლიმპიური თამაშები 2021 წლამდე გადაავადა (23 ივლისი – 8 აგვისტო), ადრე დათქმულ დროს მსოფლიოს პირველობის ჩატარება შეუძლებელი გახდა. შედეგად, მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობა 2022 წლის 13-29 მაისს გადაწყდა.

„ეჭვი არ გვეპარება, რომ მიღებული გადაწყვეტილება მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთათვის საუკეთესო პირობებს უზრუნველყოფს. მოუთმენლად ველით პლანეტის საუკეთესო ათლეტების ხილვას 2022 წელს, ფუკუოკაში“, – განაცხადა FINA-ს პრეზიდენტმა ხულიო მაგლიონემ.

მანუჩარ გიორგაძე

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი ძვირფასი მეგობარი და კოლეგა, ძველი სარბიელელი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეროვნული ლიგისა და ასაკობრივი ნაკრებების მედია-მენეჯერი

კახა შალამბერიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ჰამდათ ჯადიქარ ყიზის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ჰამდათ ჯადიქარ ყიზი (პ/ნ 20001033579), თელავი, ს. ყარაჯალა.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თელავი, ს. ყარაჯალა (საკადასტრო კოდი: 53.10.42.036).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 5874.90 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 6 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 27 მაისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP65796720;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 657967
6. **მოვალე:** ჰამდათ ჯადიქარ ყიზი (პ/ნ 20001033579), თელავი, ს. ყარაჯალა.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP65796720; ლოტის ნომერი: 657967).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 27 მაისის 10:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ავილ აბდულაევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ავილ აბდულაევი (პ/ნ 36001009085), საგარეჯო, სოფელი თულარი

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
საგარეჯო, სოფელი თულარი (საკადასტრო კოდი: 55.03.51.172 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 95769.31 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 7 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 27 მაისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP65806720;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 658067
6. **მოვალე:** ავილ აბდულაევი (პ/ნ 36001009085), საგარეჯო, სოფელი თულარი;
მახმად გახრამანოვი (პ/ნ 36001009228), საგარეჯო, სოფელი თულარი
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP65806720; ლოტის ნომერი: 658067).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 27 მაისის 10:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ორუჯ სეიდოვის და ელჩინა სეიდოვის თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის თანამესაკუთრეები:**
ორუჯ სეიდოვი (პ/ნ 20001007962), თელავი, სოფელი ყარაჯალა, 50-ე ქ. №4
ელჩინა სეიდოვი (პ/ნ 20001066979), თელავი, სოფელი ყარაჯალა

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თელავი, სოფელი ყარაჯალა (საკადასტრო კოდი: 53.10.42.004 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 22721.80 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 7 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 27 მაისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP65806920;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 658069
6. **მოვალე:** ზემფირა ქამალ ყიზი (პ/ნ 20001007963), თელავი, სოფელი ყარაჯალა, 50-ე ქ. №4;
გულდან მახმად ყიზი (პ/ნ 20001048945), თელავი, სოფელი ყარაჯალა;
ორუჯ სეიდოვი (პ/ნ 20001007962), თელავი, სოფელი ყარაჯალა, 50-ე ქ. №4;
ნაზილა ნაბიევა (პ/ნ 20001019795), თელავი, სოფელი ყარაჯალა, 27-ე ქ. №13.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP65806920; ლოტის ნომერი: 658069).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 27 მაისის 10:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ჰაფუს კახრამანოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ჰაფუს კახრამანოვი (პ/ნ 36001012224), საგარეჯო, ს. თულარი, მე-7 II ჩიხი №10

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
საგარეჯო, სოფელი თულარი (საკადასტრო კოდი: 55.03.54.248 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 12931.29 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 7 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 27 მაისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP65806820;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 658068
6. **მოვალე:** ჰეიდარ კახრამანოვი (პ/ნ 36001031062), საგარეჯო, ს. თულარი, პირველი I შეს. №1;
ჰაფუს კახრამანოვი (პ/ნ 36001012224), საგარეჯო, ს. თულარი, მე-7 II ჩიხი №10;
მახმად მუხტაროვი (პ/ნ 36001010037), საგარეჯო, ს. თულარი, მე-7 II ჩიხი №12;
აქბარ კახრამანოვი (პ/ნ 36001012431), საგარეჯო, ს. მუღანლო.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP65806820; ლოტის ნომერი: 658068).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 27 მაისის 10:00 საათამდე.

სულთათანა

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა და განგების წესით მარადიულობაში დაივანა ასოციაციის თანათავმჯდომარის

ნელი გურგენიძის

სულმა. ქედს ვიხრით ჭეშმარიტი მამულიშვილის, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პიროვნების, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, შეჭირვებულთა ქომაგის, ჭირისა და ლხინის გამზიარებელი ქალბატონის წინაშე და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ღირსეული მამულიშვილის, წესიერებით, ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით, გულითადობით გამორჩეული პიროვნების, „თბილისობის“ დღესასწაულის ერთ-ერთი დამაარსებლის და მისი მაღალ დონეზე დაფუძნების დიდი ორგანიზატორის

ნელი გურგენიძის

გარდაცვალებას და თანავუგრძნობთ მის ოჯახსა და ახლობლებს. ვწუხვართ და განვიცდით, რომ არსებული ვითარების გამო მას სათანადო პატივი ვერ მივაგეთ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

მეგობრები და კოლეგები: **გივი აბდუშელიშვილი, გივი ანჩაბაძე, ვალერი ასათიანი, მადონა ბერაძე, ჯემალ ბერიძე, დალი ბოჯგუა, ლამარა გაგუა, რამაზ გოგლიძე, მანანა გოჩალეიშვილი, ალეკო გოცირიძე, გურამ დიდბარიძე, შოთა დოლონაძე, ნათელა ვასაძე, გივი თალაკვაძე, თემურ თოფურიძე, აბესალომ იმედაშვილი, ედუარდ კანდელაკი, ავთანდილ კანდელაკი, ზურაბ კახნიაშვილი, ვახტანგ კიკნაძე, რესან კონცელიძე, ჯემალ კუხალაშვილი, ნათელა ლაღიძე, ზურაბ ლელაშვილი, ნიკო ლეკიშვილი, ვაჟა ლორთქიფანიძე, ლია ლომიძე, ზურაბ ლომიძე, გივი მაზიაშვილი, მადონა მგელაძე, ზაურ მესხიშვილი, დავით სალარიძე, ბორის სარალიძე, ვიქტორია სირაძე, დიტო ტყეშელაშვილი, თამაზ ყიფიანი, კოტე შენგელია, ვაჟა შუბლაძე, მერი წიკლაური, მიშა წულაძე, ილია ხუციშვილი, ვიოლა ჯაფარიძე, დავით ჯაფარიძე.**

აბესალომ იმედაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, მრავალი ადამიანის მიმართ უანგარო და უშურველი დახმარებით გამორჩეული, ჩვენი განუყრელი მეგობარი

ნელი გურგენიძე

და გულითადად თანაუგრძნობს მის ოჯახსა და მრავალრიცხოვან ახლობელს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ასოციაცია „საქართველოს მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ თანათავმჯდომარის, ჩვენი გაზეთის ერთგული ავტორისა და თანამდგომის, ღირსეული და კდემამოსილი ქალბატონის

ნელი გურგენიძის

გარდაცვალებას და უსამძიმრებს ოჯახსა და სანათესაოს.

ხსოვნა

სვეტლანა და შალვა მგალობლიშვილები ოჯახით თანაუგრძნობენ თეიმურაზ და გია რევიშვილებს დედის, სათნო, ღირსეული ქალბატონის

მაყვალა მიქელაძე-რევიშვილის

გარდაცვალების გამო.

მარინა კანდელაკი, თეიმურაზ ბრელიძე ოჯახით სამძიმარს უცხადებენ თეიმურაზ, გია რევიშვილებს და მათი ოჯახის წევრებს დედის, სიკეთითა და ღირსებით აღსავსე ქალბატონის

მაყვალა მიქელაძე-რევიშვილის

გარდაცვალების გამო.



ნანული (ნანა) გუნია ოჯახით მწუხარებას გამოხატავს, რომ გარდაიცვალა ჭეშმარიტი მამულიშვილი, ღირსეული ქართველი, ქართველთა და აფხაზთა შერიგების კავშირის „დიოსკურია-2005“-ის პრეზიდენტი, თადარიგის გენერალი, აკადემიკოსი

სერგო ილარიონის ძე წურწუმია

და თანაუგრძნობს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ბელარუსი 9 მაისს აღლუმზე!

ბელარუსის პრეზიდენტი პოსტსაბჭოთა ქვეყნის ლიდერებს ფაშიზმზე გამარჯვების 75-ე წლისთავის აღსანიშნავად მინსკში ეპატიჟება. „საჯაროდ ვიწვევ ყველა ქვეყნის, თუნდაც სსრკ-ს ყოფილი რესპუბლიკების ლიდერებს 9 მაისის აღლუმზე მინსკში. ვიმედოვნებ, ვინმე მაინც ჩამოვა. თუ არ ჩამოვლენ, ჩვენ მოვაწყობთ აღლუმს, როგორც ყოველთვის. მინსკში შეკრება სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა, რადგანაც ბელარუსი იყო ქვეყანა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს მიწასთან გაასწორეს, რომელმაც პირველმა მიიღო დარტყმა საკუთარ თავზე და ყველაზე მეტად დაზარალდა“, — აღნიშნა ლუკაშენკომ.

გამოძიება კორონავირუსის შესახებ

აშშ-ის ხელისუფლება მალე გამოაქვეყნებს კორონავირუსის წარმოშობის გამოძიების შედეგებს. ამის შესახებ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა. გასულ კვირას აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ დარწმუნებულია, ვირუსი ხელოვნურად არის შექმნილი. მისი თქმით, აშშ განიხილავს ვერსიას უხანის ლაბორატორიაში COVID-19-ის შექმნის შესახებ. ის ჩინეთს მკაცრი შედეგებით დაემუქრა, თუ კი ეს ვერსია დადასტურდება. ჩინეთის ხელისუფლება თავის მხრივ აცხადებდა, რომ ეპიდემიის დაწყების პირველივე დღიდან ამ საკითხს ღიად და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა.

დონალდ ტრამპის ვერსიას არ იზიარებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და ირწმუნება, რომ ყველა ხელმისაწვდომ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, ჩინეთში გაჩენილი კორონავირუსი, ცხოველური წარმომავლობისაა და არ ეტყობა, რომ ის ლაბორატორიაშია შემუშავებული ან მანიპულირებული.

მალე ვირუსის სამკურნალო პრეპარატი გვექნება

ისრაელის ბიოლოგიური კვლევების ინსტიტუტი ადასტურებს, რომ კორონავირუსის სამკურნალო პრეპარატის შექმნაში პროგრესს მიაღწია. როგორც მედიასაშუალება ისრაელის თავდაცვის სამინისტროს ბიოლოგიურ ლაბორატორიაზე დაყრდნობით წერს, მეცნიერებმა გამოავლინეს ანტისხეული, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია „კოვიდ-19“-ის საწინააღმდეგო სამკურნალო პრეპარატის შემუშავებაში. თუმცა, ბიოლოგიური ლაბორატორიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მედიკამენტების შექმნამდე მათ ჯერ კიდევ თვეები აშორებს. მისი ცხოველებზე გამოცდა ჯერ არ დაწყებულა.

ისრაელის ლაბორატორიის წარმომადგენელთა თქმით, ახალი აღმოჩენა გამოუსადეგარია ვაქცინის შემუშავებაში, თუმცა არის მედიკამენტური მკურნალობისკენ გადადგმული ნაბიჯი. როგორც მედიასაშუალება წერს, მსოფლიოში მრავალმა სამეცნიერო ინსტიტუტმა აღმოაჩინა ანტისხეული, რომელსაც შეუძლია, „კოვიდ-19“-ის ვირუსის განადგურება, თუმცა ისრაელის თავდაცვის სამინისტროს ლაბორატორიაში აცხადებენ, რომ მათ მსოფლიოში პირველებმა გადალახეს სამი ძირითადი ეტაპი — აღმოაჩინეს ანტისხეული, რომელიც ანადგურებს ვირუსს; მოქმედებს მიზანმიმართულად კონკრეტულად კორონავირუსის წინააღმდეგ; ეს არის მონოკლონური ანტისხეული, რომელიც პაციენტებში დამატებით გართულებებს არ გამოიწვევს.

სანთელი

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ასოციაციის საგამომცემლო განყოფილების გამგეს შოთა კობიაშვილს გარდაეცვალა სიძე

ედგარ ბეგიაშვილი

და უსამძიმრებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

მამუკა ვაშაკიძე თანაგრძნობას უცხადებს უახლოეს მეგობარს, საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის საგამომცემლო განყოფილების გამგეს შოთა კობიაშვილს სიძის, უკეთილშობილესი პიროვნების

ედგარ ბეგიაშვილის

მოულოდნელად გარდაცვალების გამო.

უკვე 47 ღია აგრარული ბაზარი მუშაობს

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოს რეგიონებში დღეისთვის 47 ბაზარი მუშაობს. სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილის ვასილ ბასილაძის ინფორმაციით, ამ ბაზრების გახსნას შესაბამისი რეკომენდაციები სეს-მა გაუწია.

„ჩვენი ინსპექტორები მუდმივ რეჟიმში ახორციელებენ მონიტორინგს როგორც ამ გახსნილ 47 ბაზარში, ასევე იმ დარჩენილ ბაზრებში, რომელთაც ჯერჯერობით ჩვენთვის არ მოუმართავთ და დარჩენილი აქვთ რეკომენდაციების შესრულების ნაწილი. ჩვენ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ჯანდაცვის რეკომენდაციებზეა დაყრდნობილი და მნიშვნელოვანია, რომ მოვაჭრეები აღჭურვილი იყვნენ პირბადეებით, ხელთათმანებით, მათ სამუშაოს დაწყებამდე გავლილი უნდა ჰქონდეთ თერმოსკრინინგი. ეს ყველაფერი ჩანაწერების სახით უნდა იყოს დაფიქსირებული დირექციის მიერ. ასევე მნიშვნელოვანია სოციალური დისტანციის დაცვა როგორც მომხმარებლებში, ასევე მოვაჭრეებში“, — აცხადებს ვასილ ბასილაძე.

2020 წლის 27 აპრილიდან ღია ტიპის აგრარული ბაზრების ფუნქციონირება შეესაძლებელი გახდა.

„წამოწოლილებს, ხალხის გარეშე გვაჩვენებდნენ დიდ ტაძრებში“ – მეუფე იაკობმა რომის პაპსაც შეუტია

„ჩვენი ეკლესია ღარიბია ქონებით, ჩვენი სიმდიდრე ქრისტეშია. მადლობა ღმერთს, რომ თავში ავარდნილი არ გვაქვს“, – ამის შესახებ ბოდბელმა მთავარეპისკოპოსმა იაკობმა ბოდბის მონასტრის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში წინასადღესასწაულო ლოცვის დასრულების შემდეგ განაცხადა.

„მონასტრის დედებს, მამებს, მრევლს, მთელ საქართველოს დიდი მადლობა იმ თავდადებისთვის, რაც გამოიჩინეთ. სირცხვილია, რომ იძახიან ხოლმე 70 წლის ადამიანი გარეთ არ გავიდეს. ვინ გადაუწყვიტა იმ ადამიანს, რატომ არ უნდა გავიდეს, სახლში უნდა დავხოცოთ ადამიანები? სიფრთხილე აუცილებელია, მაგრამ ღმერთმა როგორ გვაშორა ხომ ყველაფერი? პატრიარქი გვაჩვენებდა, როგორ უნდა მოვქცეულიყავით. ამ განსაცდელის ჟამს სინოდი საოცრად შემიყვარდა და ყველა რა, იმიტომ რომ ისეთი ერთსულოვნება ჰქონდა, გაგიკვირდებათ. კიდევაც ვუთხარი და სხვებმაც აღიარეს. ერთმანეთს კიდევაც განვიკითხავთ – ადამიანები ვართ, ზოგს ერთმანეთის მიმართ შური ჰქონდა... დაგვაძლევინა ეს უფალმა და მამასთან საძმო, უფროსი და უმცროსი ძმები, ერთად მივდიოდით. მთელი მსოფლიო დააჩოქეს, ერთადერთი ჩვენი ეკლესია იყო და 87 წლის ადამიანი, სულით და ხორცით ქრისტიანი, ქართველი, ჩვენი მამამთავარი, ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქი უფალმა მთავარსარდლად გამოირჩია, სხვებს, მაპატიეთ და ლეიბზე წამოწოლილებს, ხალხის გარეშე გვაჩვენებდნენ დიდ ტაძრებში, პატრიარქი ხალხთან ერთად იყო და ქრისტეს ლაშქარს მიუძღვებოდა.

ბოლო ჟამი სხვანაირად კი არ იქნება? ასე იქნება და ბევრს შეეშინდება, მაგრამ ყველამ გმირობა გამოიჩინა, ვისაც შეეშინდა, ისინიც გმირები არიან. ყველას შევუნდოთ, არავინ განვიკითხოთ და ჩვენ უნდა მივხედოთ ჩვენს ქვეყანას. ჩვენი ეკლესია ღარიბია ქონებით, ჩვენი სიმდიდრე ქრისტეშია, ჩვენი სიმდიდრე ჩვენს საქართველოში და დედაეკლესიაშია. ეს საოცარი რაღაც იყო და ისტორია ამაზე იტყვის. მადლობა ღმერთს, რომ თავში ავარდნილი არ გვაქვს. ყველაფერი კარგად იქნება, ერთი უნდა იცოდეთ, რომ სინოდში აბსოლუტურად ძლიერი ერთობაა. რა ძალამ უნდა დაგვაშოროს? მაშინ ქრისტეს და ჩვენი დედაეკლესიის მტრები გავხდებით“, – განაცხადა მეუფე იაკობმა.

ქვეყნის მასშტაბით ინფიცირებულთა გამოვლენა შემცირდა, რაც ყველას გვახარებს



ბოლო პერიოდში, არა მხოლოდ ჩვენს კლინიკაში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით შემცირდა ინფიცირებულთა გამოვლენა, მიუხედავად იმისა, რომ ტესტირების რაოდენობა გაიზარდა, – ამის შესახებ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ხელმძღვანელმა ლევან რატიანმა განაცხადა. მისი თქმით, აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებაში მყოფი კოვიდინფიცირებული მედპერსონალიდან ერთი უკვე გაწერილია და დანარჩენების მდგომარეობა სტაბილურია.

„რაც შეეხება მედპერსონალს, რომელიც ჩვენს კლინიკაშია, ერთი მათგანი გაეწერა, რამდენიმე რჩება, მათი მდგომარეობა სტაბილურია. როგორც კი, „კოვიდინფექციის“ პროტოკოლის პერიოდი გავა, კვლევა განმეორდება და საბედნიეროდ, ისინიც რამდენიმე დღეში დატოვებენ კლინიკას“, – განაცხადა ლევან რატიანმა.

გაუსაძლისი სიცხე

ევროპელი, ჩინელი და ამერიკელი მეცნიერების კვლევის თანახმად, 2070 წლისთვის 3 მილიარდი ადამიანის საცხოვრებელ ადგილებში ჰაერის ტემპერატურა გაუსაძლისამდე გაიზრდება.

თუ უახლოეს მომავალში სათბურის გაზების დონე არ შემცირდება, უამრავ ადამიანს 29 გრადუსზე მაღალ საშუალო ტემპერატურის პირობებში მოუწევს ცხოვრება. შედეგის მისაღებად სპეციალისტებმა გაეროს პლანეტის მოსახლეობის ზრდის პროგნოზი და გლობალური დათბობის განვითარების მოდელები გამოიყენეს. მეცნიერები განმარტავენ, რომ ადამიანების უმეტესობა ვიწრო კლიმატურ სივრცეებში ცხოვრობს, სადაც საშუალო ტემპერატურა 11-15C გრადუსს შეადგენს. შედარებით მცირე ნაწილის ბინადრობის არეალში საშუალო ტემპერატურა 20-25C გრადუსია. ადამიანები ასეთ პირობებში ათასობით წლის განმავლობაში ცხოვრობენ, თუმცა, გლობალური დათბობის გამო უამრავი ადამიანის საცხოვრებელი ადგილი ამ „კლიმატურ ნიშებს“ გასცდება. ცვლილებები შეეხება ჩრდილოეთ ავსტრალიას, ინდოეთს, აფრიკას, სამხრეთ ამერიკას და ახლო აღმოსავლეთის ნაწილებს.



პატარა ბავშვებისთვის პირბადის ტარება რეკომენდებული არ არის

– ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ხათუნა ზახაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, მშობლებმა უნდა იზრუნონ სოციალური და ფიზიკური დისტანციის დაცვაზე. ამის მიზეზად სპეციალისტები ამბობენ, რომ ბავშვებს ნიღბით უფრო მეტად უჭირთ სუნთქვა, ვიდრე მოზრდილებს. ასევე, ბავშვს სუნთქვის გაძნელების შემთხვევაში თავისით არ შეუძლია ნიღბის მოხსნა და ეს შეიძლება მოხრჩობის რისკის შემცველი აღმოჩნდეს. გარდა ამისა, ბავშვები ხშირად ეხებიან ნიღაბს და ამიტომ ნიღბის სწორად გამოყენება მათთან შეუძლებელია.

საქართველოში კორონავირუსის გავრცელების საფრთხის გამო პირბადის ტარება აუცილებელი გახდა. მის გარეშე აკრძალულია ტაქსით სარგებლობა, მაღაზიებში, აფთიაქებსა და საზოგადოებრივ ადგილებში ყოფნა.

რობოტები კოვიდინფიცირებულ პაციენტებს მოემსახურებიან

ტოკიოში რობოტები წარადგინეს, რომლებიც სასტუმროში კოვიდინფიცირებულ პაციენტებს მოემსახურებიან. ტოკიოს ხელისუფლება მიზნად ისახავს, რობოტების გამოყენებით შეამციროს ზეწოლა სასტუმროს თანამშრომლებზე, სადაც კორონავირუსის ასიმპტომური ან მსუბუქი სიმპტომების პაციენტები იმყოფებიან.



რობოტების დანიშნულება სასტუმროს დასუფთავება და პაციენტებისთვის საკვების მიწოდება იქნება. კიდევ ერთი რობოტი, ჰუმანოიდი, შექმნილია პაციენტებთან ურთიერთობისთვის. მას ხმოვანი შეტყობინების გაჟღერებაც შეეძლება. **„მე ვლოცულობ თქვენი სწრაფი გამოჯანმრთელებისთვის“,** – ამბობს რობოტი.

სათბურიდან წამოსული გულის სითბო

ვანის რაიონის სოფელ მთისძირში ფერმერმა ქეთი თომეიშვილმა კიტრის ერთი სათბური თანამშრომელ ქალებს აჩუქა. იუწყება გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოში.

კოვიდ-19-მა ამ ქალების ოჯახების წევრები სამუშაოს გარეშე დატოვა. მათი შემოსავლის ერთადერთი წყარო ახლა ქეთის კიტრის სასათბურე მეურნეობაა.

„ხელფასებიც გავუზარდე, მაგრამ რომ მივხვდი, ეს საკმარისი არ იყო, სათბური მივეცი. მოსავალი 3 კვირაში მოვა და გაყიდვაშიც დავეხმარები. რამდენიმე თვით მოგების გარეშე ყოფნა მე არ გამაღატაკებს, ჩემს გოგოებს კი ძალიან გაუჭირდებოდათ“, – ამბობს ქეთი.

ქეთის კიტრის სასათბურე მეურნეობაში 4 ადგილობრივი ქალი მუშაობს.

ქეთი თომეიშვილი გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ ერთ-ერთი მონაწილეა. პროექტს გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან პარტნიორობით, ნორვეგიის მთავრობის დაფინანსებით ახორციელებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 3.1998; ევრო - 3.4702;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.9857;
100 რუბლი - 4.3176; თურქული ლირა - 0.4522;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8871;
1000 სომხური დრამი - 6.6718.

ამინდი 7 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+22
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+19
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+20
თბილისი:	ღამე	+11,	დღე	+19

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge